

K 95-890
3

379. 371
საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

ა. ზ. ბოცინიძე

ბ ა ვ შ ვ ი ს თ ა ვ ა შ ი

h
~~3~~

068.567
K 95.890



ს ა ს ე ზ მ შ ი შ რ ტ შ ი ზ ი ს ი ს ა მ ე ტ ნ ი მ რ მ
შ ა მ მ მ ტ ე მ ლ მ ბ ა 1 9 3 6 ს ე მ მ ტ მ რ ი

თა. თამარჯიანი



საქართველოს სახელგამის 2-რე სტამბა

საქ-2000
საქართველოს
სახელგამის 2-რე სტამბა

008227

ტ-5

136
გ. 85-დ

პ/მგ. რედაქტორი—შ. ქორიძე
სტილ-სტი—ე. ვანათაშვილი
კორექტორი }
გამომგებები } ალ. სიგუა

გადაეცა წარმოებას 21/III—35 წ.
ხელმოწ. დასაბუჯდად 16/VIII—35 წ.
თავლიტის რწმ. № ა-2253
ზომა 61/2 X 10 1/2
შეკვ. № 98 ტირაჟი 2,000

სახელგამის 2-რე სტამბა, ორჯონიკიძის ქ. № 50

2211 12

შ ი ნ ა ა რ ს ი

I—წინასიტყვაობა	3
II—შესავალი. ბავშვი და მისი განვითარება	5
III—თამაში, რაგორც ბავშვის აქტიობის ძირითადი სახე	9
IV—თამაშის რაობა და წარმოშობა	11
V—ემოციური-ფიზიოლოგიური თეორია	12
VI—ბიოგენეტიკური თეორია	18
VII—ბიოლოგიური თეორია	20
VIII—ბავშვის თამაშის ში აარსი, სტიმული, კლასიფიკაცია	24
IX—სათამაშოები	29
X—თამაშის პედაგოგია	31

წინასიტყვაობა

საქ. სახელმწიფო გამომცემლობის წინადადებით, კმაყოფილებით მივიღე ვალდებულება: მივაწოდო საბჭოთა საზოგადოებას ნარკვევები ბავშვთა აღმზრდელობის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ. წინამდებარე შრომა: „ბავშვის თამაში“ წარმოადგენს ერთ ამ საკითხთაგანს. იგი მიმართულია მშობელთა და აღმზრდელთა ყურადღებისაკენ. შეიცავს არა ორგინალური კვლევის მასალებს ამ საკითხებზე, არამედ ნარკვევს, სადაც მოცემულია თანამედროვე მეცნიერული შეხუდულებანი ბავშვის თამაშის რაობასა და მნიშვნელობაზე იმ სახით, როგორც იმთავე ავტორი უზიარებს ამ ცნობებს მედინსტიტუტის მსმენელთ: ნარკვევის შესრულების ფორმა გულისხმობს, რომ შრომას—გარდა სპეციალური ცოდნით აღჭურვილ აღმზრდელთა (პედოლოგთა, პედაგოგთა და ექიმთა)—გამოიყენებენ ამ საკითხთან დაკავშირებული ფართე საზოგადოება და, პირველ ყოვლისა, მშობლები. მათ დღევანდელ პირობებში დაკისრებული აქვთ უდიდესი სახელმწიფოებრივი ვალდებულება—ბავშვთა აღზრდაში აქტიური მონაწილეობა. რამდენადაც ეს მონაწილეობა უფრო მეტად ეხება ბავშვის განვითარების ნაადრევ ასაკებს, რომელთაც გადამჭრელი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის მთელი განვითარებისათვის, ხოლო ამ ასაკების უდიდეს შინაარსსა და გამოხატულებას წარმოადგენს ბავშვის თამაში, თავის-თავად ცხადია. მშრომელთა ნათელი გარკვევა ამ საკითხში უშუალო შედეგს მოგვცემს ბავშვის სწორი აღზრდის საქმეში.

ავტორის ამოცანას შეადგენს შეიტანოს თავისი მცირე წვლილი იმ დიად წამოწყებებში, რომელთაც აღნიშნულ სფეროში ატარებს საბჭოთა ხელისუფლება სოციალისტური საზოგადოებისათვის ჯანსაღი თაობის აღზრდის სახით.

ა. ზოცირიძე

1934 წ. ოქტომბერი
თფილისი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ბ ა ვ შ ვ ი ღ ა მ ი ს ი ბ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა .

„გიჟვარდეთ ბავშვები, ხელი შეუწყეთ მათს თამაშს“ — რუსხო.

„თამაში არ არის უბრალო რამ; ის იმდენადვე უაღრესად სერიოზულია, რაჰდენადაც ღრმა არის მისი მნიშვნელობა. ულოლიავე, ასახრდოვე იგი, ჯედავ! დაიცავი, შეიფარე ის, მამავ!“ — ფრებელი.

„ბავშვებს ის უაღერსებდა ნაზად, როგორილაც განსაკუთრებული მსუბუქი და ფრთხილი შეხებით“ — გორკი ლენინზე.

პედოლოგია („ბავშვმცოდნეობა“) მხოლოდ XIX საუკუნიდან იწყებს თავის სისტემატურ ისტორიას, მაგრამ მიუხედავად ასეთი ხანმოკლე არსებობისა („ბავშვმცოდნეობა ერთი უკანასკნელი შტოთაგანია ადამიანის ცოდნის ხეზე“ — ვ. შტერნი), მან აუარებელი მასალა დააგროვა თავის საგანზე — ბავშვზე და მის განვითარებაზე. ეს მასალა თავის უმეტეს ნაწილში მოცემულია ბურჟუაზიული ქვეყნების მეცნიერთაგან და, როგორც ბურჟუაზიული მეცნიერების ყველა სხვა დარგში ხდება, ატარებს კარდინალური შეცდომების დაღს, ვინაიდან ემყარება მცდარ იდეალისტურ მსოფლმხედველობას. ასეთი მხედველობით შესწავლილი ბავშვი ან ატარებს განყენებული, ხელოვნურ პირობებში ჩაყენებული არსების ნიშნებს, ან წარმოგვიდგება, როგორც პირმშო შვილი საზოგადოების ბურჟუაზიული წრეებისა, და მხოლოდ მათზე და არა მშრომელთა შვილებზე იძლევა თავის კვლევის მასალებს. მიუხედავად ამისა, ეს მასალები თავის კონკრეტულ ნაწილში (ბურჟუაზიული ავტორების მიერ აგებული კონცეპციებისა და დასკვნების უკუგდებით) გამოყენებულია ახალგაზრდა საბჭოთა პედოლოგის მიერ, რომელიც ა. ზალკინდის თქმით, უკვე თვით „მდიდარია უხვი მასალით“. საბჭოთა პედოლოგია, დამყარებული დიალექტიკური მატერიალიზმის უტყუარ მეთოდოლოგიაზე, იძლევა ცოცხალი რეალური ბავშვის ცხოვრება-მოქმედებისა და განვითარების სწორ შეფასებას. ის არ შიშობს დაარქვას საგანს თავისი სახელი: იღებს გარკვეული სოციალური

წრის გარკვეულ ბავშვს (მშრომელის ბავშვს), იკვლევს მის აწმყოს სოციალური პირობების ასპექტში და იძლევა სათანადო სახელმძღვანელო მითითებებს მისი მომავალი განვითარებისთვის (სოციალისტურ წყობილების თვალსაზრისით). ეს არის ნათელი პოზიცია, რომელიც ქმნის საბჭოთა პედოლოგიას, ისევე, როგორც საბჭოთა მეცნიერების სხვა დისციპლინებს, მძლავრ იარაღად ცხოვრების მოვლენების არა მარტო შესახვაგლად, არამედ მის გარდასაქმნელადც. საბჭოთა პედოლოგია არ გაუზრბის ბურჟუაზიული მემკვიდრეობის გამოყენებას იმ სახით, რომლითაც ის სასარგებლო გამოადგება სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად. ჩვენც ამისდა მიხედვით შევეცდებით აღებული თემის ირგვლივ აღვნიშნოთ ის დადებითი მხარეები, რომლებიც ამათუიშ ბურჟუაზიულ მოძღვრებას ბავშვის თამაშის შესახებ ახასიათებს.

რა საკითხები დგანან მეცნიერული პედოლოგიის წინაშე საერთოდ? მხოლოდ გაკვრით ვეხებით ამ საკითხებს და ამდენად ზოგადად შეგვიძლია ვავაშუქოდ ისინი აღებული შრომის ფარგლებში (შემდეგი ჩვენი შრომა „ბავშვის განვითარება“ სპეციალურად გააშუქებს მათ). პედოლოგიას განმარტავენ, როგორც მეცნიერებას ბავშვის განვითარების კანონზომიერების შესახებ სოციალური წრის პირობებში და ასაკობრივი ცვლილებების თვალსაზრისით, აქედან თავისთავად იგულისხმება, რომ არის რაღაც თავისებურება ბავშვში და მის ასაკობრივ განვითარებაში, განსხვავებით მოზრდილისაგან და მისი ყოფა-ცხოვრება-მოქმედებისაგან. ეს არის პირველი და მთავარი დებულება, რომელიც უნდა შეიგნოს ყველამ, ვინაც ცხოვრება არგუნებს ამათუიშ კავშირ-დამოკიდებულებას ბავშთან: დედას, მამას, აღმზრდელს, მასწავლებელს, ექიმს, მეცნიერს-მკვლევარს და სხვადასხვა. უნდა შევიგნოთ ეს იდეა და მხოლოდ ამით ვხელმძღვანელობდეთ ბავშვთან ურთიერთ-დამოკიდებულების დროს. ბავშვი არ არის პატარა მოზრდილი, არამედ თავისი ფიზიკური აგებულებით და ფსიქიური განცდებით ხრულიად განსხვავებული არსებაა, რომელსაც აქვს სრულიად თავისებური და მოზრდილისაგან განსხვავებული დამოკიდებულება სამყაროსთან. ბავშვს აქვს თავისი სამყარო, თავისებური შეგნებით, მისწრაფებით და განცდებით.

ეს დებულება მთავარია მოზრდილების ბავშვთან დამოკიდებულებაში, არის ეს დამოკიდებულობა მეცნიერულ-კვლევითი, აღმზრდელით-პედაგოგიური, თუ საერთო საყოფაცხოვრებო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს იდეა არც ისე ადვილად იჭერს თავის ადგილს მეცნიერებასა და ცხოვრებაში, როგორც ეს სასურველია. არსებითად, ბურჟუაზიულ პედოლოგიას ეს დღემდეც ვერ შეუთვისებია. იქ დღესაც ბავშვის განსხვავებას მხოლოდ სიდიდეში ხედავენ („ბავშვი პატარა მოზრდილია“) და არა თვისებაში. სწორი იქნება ვთქვათ, რომ არა თუ „ვერ“ შეუთვისებიათ, არამედ „არ“ ითვისებენ. ის შეხედულება, რომ განსხვავება დიდსა და პატარას შორის



მხოლოდ სიდიდეშია, ნაკარნახევია ბურჟუაზიული მეცნიერების მეცნიერული შედეგები: რომ ადამიანი საერთოდ შექმნილია ღვთაებრივი ძალისაგან ერთი დამავე სახით და იბადება ისეთივე შემადგენლობით თავის ბუნებაში, როგორითაც კვდება. ხომ მიდიან იდეალისტური მსოფლმხედველობის უდიდესი წარმომადგენლები ისეთ აბსურდამდე, თითქო ბავშვის პირველ წამოყვირებაშია კი ჩვენ უკვე გვაქვს ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულების შეგნება და გამოხატვა. კანტი აღნიშნავს, რომ ბავშვი „ხედავს მისდამი ძალადობას და თავისი ყვირილით მოითხოვს თავისუფლებას“. ამგვარად, იდეალისტურად განწყობილი მეცნიერნი გვასწავლიან, რომ ახლად დაბადებულ ბავშვს დაყოლილი აქვს ღვთისაგან ჩანერგილი იდეები თავის თავსა და სამყაროზე, რომ ის უკვე დაბადებისას „აცხადებს თავის ღრმა რწმენას“, „აქვს უფლება დამოუკიდებლობაზე“, „ხედავს ძალადობას“, „მოითხოვს თავისუფლებას“ და სხვა. თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი „ფილოსოფიიდან“ ბურჟუაზიულ წყობილებას (რომელსაც ემსახურებიან იდეალისტები თავისი მისტიკური „შინაძაღვების“ კონცეპციით) აინტერესებს მხოლოდ პრაქტიკული სოციალოგოიური დასკვნა: ადამიანი იბადება და კვდება უცვლელად—„რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მიწყვიე მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“, მუშამ იმუშაოს „შავ სამუშაოზე“, ხოლო მმართველმა წრეებმა მართონ უკუნითი უკუნიამდე“. ე. ი. მარადის იყოს—კაპიტალიზმი. საბჭოთა მეცნიერება „ვერ“ იზიარებს ასეღ შეხედულებას. პედოლოგიაც აღნიშნავს, რომ ადამიანი არის არა უცვლელი, არამედ ცვალებადი თავის განვითარებაში. თვით იდეა განვითარებისა დიალექტიკური მატერიალიზმის ცნებაა. იგი გულისხმობს მუდმივ მოძრაობას, წინსვლას, უმაღლესი თვისებების აღორძინების სახით, მუდმივ ცვალებადობას თვისობრივი გარდაქმნის სახით, რაც სოციალური წრის რეალურ პირობებზე არის დამყარებული. საბჭოთა პედოლოგიის გაგებით, **ბავშვი სრულიად თავისებური არსება არის, არა თუ მარტო უფროსთან შედარებით, არამედ თავისი ბავშვობის სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურებზეც**. მეცნიერებაში მიღებულია მთელი ბავშვობის ასაკის (რომელიც იზომება დაბადებიდან 18—20 წლამდე) დაყოფა შემდეგ ცალკეულ პერიოდებად: 1) ჩვილი ბავშვი, ასაკი 1 წლამდე, 2) ნაადრევი ასაკი 1—3 წწ. 3) სკოლის წინარე ასაკი 4—7 წწ., 4) პირველი სასკოლო ასაკი 8—13—15 წწ., 5) გარდამავალი ასაკი ანუ მეორე სასკოლო ასაკი 13—15-დან 17—18 და შემდეგ 6) სიყრმის ასაკი 17—18-დან 20-იან წლებდე. საბჭოთა პედოლოგია აღიარებს, რომ ბავშვის ცხოვრება-განვითარების ეს ცალკეული პერიოდები ისევე განსხვავდება ერთმეორისაგან, როგორც, საერთოდ, ბავშვები განსხვავდებიან მოზრდილებისაგან („ჩვილი არ ჰგავს ოთხწლიანს“—გიზე). ფოლკელტის სიტყვით: ადამიანს რომ შეეძლოს თავისი სხვადასხვა ასაკის გამოხატულების მაგვარი პირების ერთად შეყრა (ისე, რომ მათ არ იცო-

დენ, თუ ერთდაიგივე პიროვნება არიან, შესაძლებელია, ძალიან უარყოფითი და მტრული შეფასება მისცენ ერთიმეორეს და მწყრაღადაც გაშორდნენ. ცალკეული პერიოდები ერთიმეორისაგან განსახვდრული არიან სამხრევი ზღუდეებით და გადადიან ერთიმეორეში ე. წ. კრიტიკული ფაზებით. ყოველი ცალკეული ასაკი ატარებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს, რომელნიც შემდეგს ასაკებში გადადიან შეცვლილი თვისობრიობით. ეს ცვალებადობა ეხება ბავშვის განვითარების ყველა მხარეს: ზრდას, წონას, საერთო ფიზიკურ განვითარებას, გონებრივ განვითარებას, გრძნობებს და, საერთოდ, ფსიქიკურ განვითარებას. **ბავშვის განვითარება ხდება მთლიანად, ფსიქოფიზიკური წარმატების გზით** და იგი ექვემდებარება რამდენიმე ძირითად კანონზომიერებას (ინტენსიობის, რითმიულობის, დისპროპორციულობის და სხვა), რომელნიც თავისი მხრით ემყარებიან მეტამორფოზის (დიალექტიკური განვითარების) იდეას.

თანაბრად იმ სხვაობისა, რასაც წარმოგვიდგენს ბავშვის ფსიქო-ფიზიკური მეობა, ცვალებადობას წარმოადგენს აგრეთვე ბავშვის საცხოვრებო გამოხატულება, მისი ე. წ. აქტიობის სახეები სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდში. სხვადასხვა ინტერესები, ემოციები, მისწრაფებანი ჰქონდნენ ბავშვის ბუნებას სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე. ისინი აღმოცენდებიან და გარდაიქმნებიან იმავე დიალექტიკური განვითარების წესით, ე. ი. ერთიმეორის საფუძველზე, ერთიმეორის შინაგანი მუდმივი წინააღმდეგობით, ამის ნიადაგზე წინსვლითი ევოლუციით და შემდეგ ნახტომის, თვისობრივი გარდაქმნის სახით. ასეთი მთლიანი და მასთან ერთად მუდამ პრინციპულად განსხვავებული არიან, როგორც ბავშვის ფსიქო-ფიზიკური განვითარების ელემენტები (ზრდა, წონა, შინაგანი ორგანოები, ინტელექტუალური ფუნქციები, გრძნობები, ცნობიერება), ისე მისი აქტიობის გამოხატულებანი. უმთავრესი სახეები ბავშვის რთული აქტივობისა არიან თამაში და შრომა (ზოგი გამოყოფს კიდევ ცალკე სახედ ბავშვის ხატვას). ამ თავითვე აღვნიშნავთ, რომ ერთი მათგანი (შრომა) უნდა მივიჩნიოთ, როგორც დედა ცნება, *მერე (თამაში)—მხოლოდ მის წინა-სახეობად, ორივენი კი ერთად წარმოგვიდგებიან იმ მთლიან და მასთან ერთად დამოუკიდებელ მოვლენებად, რომლებშიაც ნახულობს თავის რეალიზაციას ადამიანის მოქმედება, საერთოდ, დაწყებული ნაადრევი ასაკიდან და დამთავრებული მოხუცის უკანასკნელი დღეებით. აქ ჩვენ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ ე. არკინის ფორმულით: „მუშაობა და თამაში—არ არიან ერთმანეთთან მეტრძოლი სტიქიები, რომელთაც შეუძლიათ დაიჭირონ თავისი ადგილი ბავშვის ცხოვრებაში მხოლოდ მაშინ, თუ რომელიმე ერთი მათგანი განდევნის თავის მეტოქეს. ისინი წარმოადგენენ ორ ჩანჩქერს, რომელნიც ხან შორდებიან, ხან ერთმანეთის გვერდით მიმდინარეობენ, ხან კი შორს სცილდებიან ერთიმეორეს, მაგრამ რომელნიც მუდამ ერთდაიპავე წყაროდან—ბავშვის ამოუშრობი აქტივობიდან—იკვებებიან“.



დიალექტიკურად ვითარდებიან ბავშვის ბუნების ეს გამოხატულებები. ნიც თანდათანობითი განვითარების გზაზე, სანამ არ დამყარდება ადამიანის საცხოვრებო გამოხატულების მთავარი გეგმონი—შრომა. ადამიანის პირველი ფორმაციის—ბავშვის აქტივობაში კი უმთავრეს მოვლენად წარმოვედგება შრომის ის წინასახეობა, რომელსაც ეწოდება თამაში.

თამაში, როგორც ბავშვის აქტივობის ძირითადი სახე.

„თამაში ბავშვი ცხოვრების მთავარი შინაარსია“
ა. გრომბახი.
„ბავშვი, რომელიც არ თამაშობს, ან რომელიც თავს იკავებს თამაშობისაგან, აღარ არის ბავშვი“ —

კოლოცა.

გამოჩენილი პედაგოგი, ბავშვის მოსიყვარულე და მისი აღზრდის განსაკუთრებული მოამბე, გერმანელი მეცნიერი ფრებელი ამბობს: „როგორც წყაროსათვის და ტბისთვის წყალია მთავარი, ისე ბავშვის სულისთვის თამაშია“; „როგორც მთის მწვერვალიდან გადაიშლება სუფთა ჰაერი და შეუკავებელი თვალთახედვა, ისე თამაში შლის ბავშვის წინაშე მის მომავალ საცხოვრებო ბრძოლენს და აიარაღებს მას წინააღმდეგობათა, სიძნელეთა და საშიშროებათა გადასალახავად, რომელნიც მას თამაშშიც კი ელოებებიან“. ამ გამოთქმაში, სადაც თამაშის მნიშვნელობასთან ერთად მოცემულია კ. გროოსის მიერ შემდეგ მოწოდებული თამაშის ბიოლოგიური თეორიის ნათელი ჩანასახი, მკაფიოდ მოჩანს ის დიდი როლი, რომელსაც თამაში ასრულებს ბავშვის ცხოვრებაში. ფრებელს, რომელსაც საბჭოთა პედოლოგია ვერ გაყვება მის ბიოლოგიურ კონცეპციებში ბავშვობის ძირითად საკითხებზე, საყურადღებო დამსახურებანი აქვს თამაშის პროცესების შესწავლა-გამოყენებაში, რომელთაც ის აკუთვნებს „მთელი მომავალი ცხოვრების გულის“ როლს. კოლოცას სიტყვით: „ყველგან, სადაც კი ფრებელი თამაშზე ლაპარაკობს, მისი ენა თბება და ლამაზდება“. და არა მარტო ფრებელი, არამედ თითქმის ყველა მეცნიერი, პედოლოგი და პედაგოგი იმავე როლს აკუთვნებენ თამაშს, ფრებელთან ერთად, რომელიც ამბობს: „თამაში უბრალო საქმე როდია; ის იმდენადვე უაღრესად სერიოზულია, რამდენადაც ღრმა არის მისი მნიშვნელობა“-ო. ჩვენ გვესმის ბავშვების ასეთივე მოამბე და მოსიყვარულე საბჭოთა პედოლოგის პროფ. ე. არკინის სიტყვები: „მხოლოდ „ობივალუტური“ უვიცობით შეიძლება აიხსნას შეხედულება თამაშზე, როგორც უმიზნო თავის გართობაზე“.

ლ. ვიგოტსკი განმარტავს თამაშს, როგორც „გონივრულ, მიზანშეწონილ და გეგმიან ყოფაქცევითს სისტემას ანუ ენერჯის დახარჯვას... ბავშვის შრომის ბუნებრივ ფორმას, მომზადებას მომავალი ცხოვრებისათვის“. — აქაც ჩვენ ვხვდებით საბჭოთა პედოლოგიის ერთერთი უმთავრესი წარმომადგენლის თეორიულ შეხედულებას თამაშის რაობაზე. თამაშში არის ბავშვის აქტიობის პირველი გამოხატულება. არკინის თქმით, ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ თამაშის პროცესების წამოწყებას. უკვე მეორე თვის ბოლოდან აღინიშნება ბავშვის თამაშობა — „აქედან დაწყებული მთელი თვეებისა და წლების განმავლობაში ბავშვის თამაშობითი აქტიობა არ ქრება, ის ავსებს ბავშვის დროის უმეტეს ნაწილს, როგორც დეიძილის ისე ძილის დროსაც, როგორც ეს ჩანს სიზმრების შინაარსიდან“ (არკინი). ლამაზს ილიუსტრაციას იძლევა ამავე საკითხზე **ა. გრომბაჩი**: „პატარა ბავშვის მოქმედება მხოლოდ მაშინ არ არის თამაში, როცა ის ტირის ან ჭამს, მაგრამ აქაც ის ხანდახან ვერ ითმენს და იწყებს თითოთ არშიების გამოყვანას თავისი ცხარე ცრემლებისაგან, რომელნიც ცვივიან მაგიდაზე, ან დედის კალთაზე; ჭამის დროს კი მან, რასაკვირველია, ჯერ კოვზი უნდა მიუწკარუნოს რასმე, სანამ პირი სავსე აქვს, ისე როგორც, — სანამ დალევდეს, — უნდა გაუშვას ლამბაქში ბუშტუკები, თუ ეს დიდი აღმოჩენა უკვე მიწვდომილია და მისი განმეორება ჯერ კიდევ არ მოსწყენია“. თანდათან რთულდება, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ბავშვის თამაშის შინაარსი და ფორმა, სანამ ის არ გადავა თავისი დედა სახეობის — შრომის პროცესებში. ამ მანძილზე თამაში წარმოადგენს საშუალებას, რომ ბავშვი გაეცნოს ჯერ თავის თავს, თავის სხეულს და შემდეგ გარემოწერს და მის საგნებს. თამაშით აგროვებს ბავშვი თავის საცხოვრებო ცოდნას, ავითარებს თავის ფსიქიკურ და ფიზიკურ ფუნქციებს და ერთდროულადვე — თავის სოციალურ თვისებებს და კავშირებს. „წაართვით ბავშვს თამაში და ის სრულიად შეუგუებელი იქნება სოციალური ცხოვრებისათვის“. — „ო, ამბობს პროფ. კორნილოვი. თამაშის მრავალფეროვანი სერიოზული მნიშვნელობა ზუსტად აქვს მოცემული იტალიელ მეცნიერ კოლოცას თავისი ვრცელი შრომის შემდეგ მოკლე რეზუმეში: „თამაში მოცემულია, როგორც საშუალება სხეულის განვითარებისა და გამაგრებისათვის, სულიერი ცხოვრების განვითარებისა და უმარტივესი ცნობების მიღებისათვის, როგორც არის წარმოდგენები ფორმაზე, ბგერებზე, სხვის ქონებაზე, საგნის გარეგნულ თვისებებზე და აგრეთვე მარტივი და ჩვეულებრივი მოვლენების ახსნა-განმარტებებზე“. „თამაშში იშლება ბავშვის ფიზიკური ბუნების ყველა მხარე“, იმეორებს არკინი.

თამაშის რაობა და წარმოშობა



„ბავშვის თამაშის გაგება —
ბავშვის ბუნების გაგება“.

გრომბახი.

„ცნება, რომელიც პირველი შეხედვით თითქო მარტივია, სინამდვილეში ძნელად განსამარტავია მეცნიერულად“, — ამბობს თამაშობაზე ა. როდინი. „თამაშს წარმოადგენს ყოველივე ის, რასაც ადამიანი აკეთებს მხოლოდ თავის მისწრაფებით და თავისი საკუთარი სიამოვნებისათვის“, ამბობს შილერი. მოყვანილი განმარტებანი ვერ გვაძლევენ შემოფარგლულ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რას უნდა დაერქვას თამაშის სახელწოდება. და ეს მარტო მოყვანილ ავტორებს არ ეხებათ. თანამედროვე პედოლოგია ვერ იძლევა თამაშის ცნების პირდაპირ და ზუსტ განმარტებას. „იმის რაობა, რასაც თამაში ეწოდება, შეძლებას არ გვაძლევს ისე განმარტოთ იგი, რომ ამოვსწუროთ განსამარტებელ მოვლენათა მთელი რკალიო“, აღიარებს კოლოცა. ავტორები ამ შემთხვევაში უფრო შემოვლითს ხერხს, აღწერილობითს მეთოდს მიმართავენ. ასე გვიმარტავს თამაშს, მაგ.. იგივე ცნობილი იტალიელი მკვლევარი კოლოცა: „ამ სიტყვით იგულისხმება მოქმედების ის სახეობათა შენაერთი, რომელთაც გარკვეულ პირობებში მიმართავენ ცოცხალი არსებანი თავის დაუკავებელი შინაგანი მისწრაფების ზეგავლენით და რომელთა მიზანს შეადგენს მხოლოდ სიამოვნება“. განმარტების პრინციპული სისწორის გარეშეც ჩვენ ვხედავთ, რომ მასში ჩვენ გვაქვს მოცემული მხოლოდ ავტორის მიერ თამაშისათვის დამახასიათებლად ცნობილი ნიშნები და არა ლოგიკური განმარტება. ასეთსავე სურათს ხედებით სხვა ავტორების განმარტებებშიც. მეტ წარმოდგენას მივიღებთ, როდესაც განვიხილავთ ავტორების პრინციპულ შეხედულებებს თამაშის რაობისა და წარმოშობის შესახებ. ამ მხრით პედოლოგიაში ცნობილი არის რამდენიმე ძირითადი თეორია, რომელთაც ჩვენ ქვემოთ შევხებით.

ყველა ეს თეორია ცდილობს გააშუქოს საკითხები, რომელთაც კოლოცა აძლევს შემდეგ ფორმულირებას: 1. როგორია მიზეზები, რომელნიც იწვევენ თამაშს? 2. როგორი პირობებია საჭირო, რომ აღმოცენდეს თამაში? 3. როგორ აღმოცენდება თამაში? მთავარი პრინციპული მიდგომა, რომლითაც ხელმძღვანელობენ სხვადასხვა მიმართულების ადვოკატები ამ საკითხების გაშუქებაში, შეიძლება დაიყვანოთ სამ შეხედულებაზე (ეფრუსით): 1. თამაში, როგორც იმ ძალების თავსუფალი გავარჯიშების გამოსახვა, რომელთაც არა აქვთ არავითარი მიზანი, გარდა ამ აქტიობის თვით პროცესებისა“, 2. თამაში, როგორც „მომავალი ცხოვრებისათვის მზადების პროცესის გამოსახვა“ და 3. „ბიოლოგიური პროცესის — ორგანიზმში

დაგროვილი ენერჯის გამოსახვა“. ჩვენ მიერ საერთო სახით იქნება განხილული: 1. შილერ-სპენსერისა და კ. ბიულერის ემოციულურ-ფიზიოლოგიური თეორია 2. კარლო გროსის ბიოლოგიური თეორია. 3. სტენლი ხოლის ბიოგენეტიკური თეორია და 4. თამაშის სოციოლოგიური თეორიები.

ემოციურ-ფიზიოლოგიური თეორია

კარლბიულერის თეორია, რომლის მიხედვით თამაშს საფუძვლად უდევს ემოცია—სიამოვნება იმდენად, რამდენადაც ასეთივე ელემენტი შედის შილერ-სპენსერის ფიზიოლოგიურ თეორიაში, ხოლო პრინციპული განსხვავება მათ შორის არც სხვა რამეში არსებობს, შესაძლოა წარმოდგენილ იქნას უკანასკნელთან შეერთებული სახით.

ამ თეორიის მთავარი ელემენტებია: 1. პრინციპი ზედმეტი, ქარბი ენერჯისა, 2. პრინციპი თავისუფლებისა და 3. პრინციპი სიამოვნებისა, რომლებიც, ამ თეორიის მიხედვით, ფუძედ ედებიან თამაშის პროცესებს და შეადგენენ მისი ბუნების ძირითად ნიშნებს. დ. კოლოცამ ზუსტად გამოხატა ფიზიოლოგიური თეორიის საფუძვლები.

განვიხილოთ ამ თეორიის ცალკეული ელემენტები.

ზედმეტი, ქარბი ენერჯის პრინციპი, ავტორების აზრით, უნდა გავგებულ იქნას ანალოგიურად ეკონომიურ სფეროში მომქმედი კანონისა, რომლის მიხედვით კაპიტალი თავის წარმოებაში შობს სათადარიგო, დანამატ კაპიტალს, ეს კი თავის მზრით კიდევ მეტად ზრდის ძირითად კაპიტალს. ფიზიოლოგიურ სფეროში ბავშვის ბუნებრივი ძალები წარმოდგენილია ამავე სახით. შილერის და სპენსერის შეხედულებით, ყოველ ცხოველს, ამ რიცხვში ადამიანსაც აქვს ენერჯის გარკვეული ჯამი. ენერჯის მთავარი დანიშნულებაა არსებობისთვის ბრძოლა (დარგინით), ანუ „ცხოვრების უკეთესი პირობებისათვის ბრძოლა“ (გეკელით). ენერჯის მარაგის მთავარი ნაწილი მიდის ამ დანიშნულებით. მაგრამ გარკვეულ პირობებში გარკვეულ ცხოველებს, ამ რიცხვებში ადამიანსაც, რჩება ენერჯის ერთგვარი დაუხარჯავი, ზედმეტი, სათადარიგო ფონდი, რომელსაც ის ინსტინქტურად მიმართავს სიამოვნების საძიებლად და პოვებს ამ სიამოვნებას თამაშის პროცესებში. „ცხოველი მუშაობს, როდესაც მას სამოქმედოდ აიძულებს რაიმე საჭიროება, და თამაშობს, როცა მისი მოქმედება გამოწვეულია ძალების სიუხვით“, ამბობს შილერი. ამ აზრს მასთან ერთად იმეორებენ სპენსერი, ბენი, პერე, დიუმონე და სხვა „თამაში—ენერჯის ხელოვნური მიმართვა“, ამბობს სპენსერი.

კოლოცა სასესიებით ემხრობა აღნიშნულ თეორიას და თავისი მხრით შეაქვს მასში სამჩნევი დამატებანი. ის აღნიშნავს, რომ გარდა ენერჯის ზედმეტი მარაგისა, თამაშის აღმოცენებისათვის საჭიროა ენერჯის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, თვით ცხოველის ერთგვარი **თვისობრივი სიმაღლის დონე**. ამგვარად, კოლოცას დამატებით, რაოდენობის კატეგორიას ერთვის ხარისხობრივი კატეგორია, რაც ფიზიოლოგიური თეორიისათვის პროგრესულ ელემენტს წარმოადგენს. კოლოცა განმარტავს, რომ დაბალი ფორმაციის ცხოველებს საერთოდ ახასიათებს ძალებისა და ენერჯის სიღარიბე, და ეს ძალები მათ მთლიანად ეხარჯებათ საცხოვრებო ბრძოლაში. მაღალ ცხოველებს კი, პირიქით, აქვთ მრავალი ძალა და ნიჭიერება. ზოგი მათგანი დაკავებულია **საჭიროებისათვის**, ზოგი კი—ამისგან თავისუფალი—მიდის **სიამოვნებაზე**. აქედან გამომდინარეობს თამაში. კოლოცა მიგვიჩივებს, რომ არც ქვემძრომთ, არც თევზებს არ აღენიშნებათ თამაში, მხოლოდ ფრინველებიდან იწყება იგი. ანალოგიას ხედავს კოლოცა არა მარტო ინდივიდის, არამედ თვით ერის, სახელმწიფო ცხოვრებაშიც. „თამაში იმდენად პოულობს თავის გავრცელებას და განვითარებას, რამდენადაც მეტია ზედმეტი ძალების მარაგი ამა თუ იმ ერში“, — აცხადებს კოლოცა თავის მეორე დებულებაში. ბავშვის ცხოვრებაშიც თამაშის აღმოცენების აუცილებელი პირობაა მისი განვითარების გარკვეული ხარისხობრივი სიმაღლე. თავისი დებულების დასამოწმებლად კოლოცას მოყავს სოლიეს დაკვირვებანი იმის შესახებ, რომ იდიოტები მოკლებული არიან თამაშის სიამოვნების უნარს, რაიც აიხსნება მათი ფსიქიზმების სიღარიბით.

ამგვარად არის მოწოდებული ფიზიოლოგიური თეორიის მთავარი პრინციპი ჭარბი ენერჯის შესახებ. მეორე პრინციპად ჩვენ დავასახელებთ „თავისუფლების“ პრინციპი. იგი გამოხატულია არკანის ფორმულაში: „თამაშის მიზანია სიამოვნება, მისი პირობაა—თავისუფლება“. ამ პრინციპის ირგვლივ ტარდება ავტორების მიერ ანალოგია თამაშისა და შრომის პროცესებს შორის.

თამაში და შრომა. ზემოთ ჩვენ გვქონდა შემთხვევა, ვაკვრით შევხებოდით თამაშისა და შრომის ურთიერთ დამოკიდებულების პრობლემას. ამ პრობლემის ესა თუ ის გადაჭრა ააშკარავებს ავტორის პრინციპულ პოზიციებს თამაშის პრობლემაშიც საერთოდ. მოვიყვანოთ რამდენიმე მოსაზრება ამის ირგვლივ.

ფიზიოლოგიურ-ემოციური თეორიის მიმდევარნი და ის ავტორები, რომელნიც ასე თუ ისე მათ ეკედლებიან, ერთგვარ **დაპირისპირებას აყენებენ თამაშსა და შრომას შორის**. ისინი აღნიშნავენ, რომ თავისუფლების ელემენტი კატეგორიულად ასხვავებს თამაშს შრომისაგან. მათი მსჯელობა შემდეგია: თამაში **თავისუფალი** აქტიობაა; მას არა აქვს არავითარი მიზნობრივი დანიშნულება და მისი ინტერესები წარმოდგენილია თვით მო-

ქმედების პროცესებში („თამაში თამაშობისათვის“); მას ახასიათებს „თავისუფლება გარე მიზნობრიობისაგან“ (შტერნი). თამაში არ ემსახურება არავითარ საჭიროებას, მაშასადამე, მას არა აქვს იძულებითი ხასიათი თავის წამოწყებაშიც; მით უმეტეს არა აქვს მას გარკვეული სახარგებლო დანიშნულება, საცხოვრებო მიზანი; თამაში შედეგია ზედმეტი, ქარბი ენერჯისა, რომელიც ბუნებრივად. ინსტინქტურად მიისწრაფის რეალიზაციისაკენ თამაშის ფორმებში. ამის შედეგად, არა მიზნობრივად, არამედ ბუნებრივად თვით პროცესების მსგელობაში ბავშვი **ღებულობს ზიანმცენებას**. ეს არის, ამ თეორიის მიხედვით, უდიდესი აზრი თამაშის არსებობისა, მისი raison d'être. სიამოვნება ხომ უდიდესი განძია პიროვნებისათვის. აქ ჩვენ ვხვდებით ფიზ.-ემოც. თეორიის მესამე მთავარ ელემენტს — **სიამოვნების** პრინციპს. „ადამიანი მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი ადამიანი, როცა იგი თამაშობს“, — ამბობს შილერი. ეს იმიტომ, რომ ის სწორედ მხოლოდ თამაშის დროს ღებულობს სიამოვნებას, რაც ცხოვრების ერთად-ერთი ღირებულებაა. ამასთან ერთად, იგი სტიმულია, როგორც ადამიანის დადებითი თვისებების განვითარებისათვის, ისე ადამიანის ძალების უკვე არსებული მარაგის აქტივიზაციისთვის. ეს ძალები თამაშის პროცესებში სტატიკური მდგომარეობიდან კინეტიკურად გარდაიქმნებიან, „სიამოვნება წარმოადგენს ტვინის მოქმედებისათვის მძლავრ მამოძრავებელს, პირველი ხარისხის სტიმულს; მას შეუძლია ყოველი ორგანოს სასიცოცხლო ენერჯის მომატება“, ამბობს კოლოცა. მხოლოდ მაშინ წარმოუდგენიათ აღნიშნული თეორიის მომხრეთ ასეთი სიამოვნების აღმოცენება და მისი დადებითი როლი, როცა თამაშს ჩვენ ვცნობთ „უმიზნო“, „თავისუფალ“ მოვლენად, რომელსაც, ეფრუსის გამოთქმით, ახასიათებს „უდარდულობა“: როცა უნდა და როგორც უნდა ისე იწყებს თამაშს ბავშვი და როცა უნდა და როგორც უნდა ისე ამთავრებს მას, ან შესწყვეტს რომელ სტადიაშიაც მოეხალისება.

ყველა ეს ღებულება აღნიშნულ ავტორებს გადააქვთ, გარდა თამაშისა, ისეთ დიდ საცხოვრებო მოვლენაზე, როგორიც არის ხელოვნება. „სიამოვნების ბუნებრივი გრძობამ“, — ამბობს პროფ. ფორნელი, „რომელიც თან სდევს თამაშის ყველა ფორმას, უკვე კანტი მიიყვანა ნაყოფიერ აზრამდე, რომ თამაში იმავე მოქმედებიდან გამომდინარეობს, როგორც სილამაზე, და რომ უკანასკნელი სწორედ თამაშისადმი მისწრაფებას, თამაშის ქმედობას წარმოადგენს“. სპენსერი, კოლოცა და მათი თანამოაზრენი იზიარებენ ამ აზრს. ხელოვნება ემსახურება არა სარგებლობას და საჭიროებას, არამედ სიამოვნებას („ხელოვნება ხელოვნებისათვის“). საგულისხმოა, რომ ამ ღებულების მიხედვით სიამოვნება ვერ ეგუება სარგებლიანობას, დაპირისპირებულია მასთან. ამ სახითა არის წარმოდგენილი ფიზ.-ემოც. თეორია თავის მთავარ ხაზებში. მოკლედ აღვნიშნოთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყველა ის იდეა, რომელნიც

საფუძვლად ედებინ აღნიშნულ თეორიას (ძაღების სიჭარბის, თავისუფლების და სიამოვნების) თავისთავად წარმოადგენენ რეალობას და უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, როგორც თამაშის მიმართ, ისე, საერთოდ, ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ არა ისეთი დაყენებითა და გაგებით, როგორც ამას გვაწვდის აღნიშნული თეორია. განვავითაროთ ეს დებულება.

ადამიანის ძაღების ჯამი და მარაგი ჩვენ არ შეგვიძლია არ ჩავთვალოთ თამაშის პირობად. როგორც საყოველთაოდ სხვა საცხოვრებო გამოხატულებაში, ისე თამაშშიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს პიროვნების, ასე ვთქვად, ჯანმრთელი მდგომარეობა, რაც უსათუოდ გულისხმობს ძალთა მარავს. ეს არის ფაქტი ობიექტური, რეალური, და, თუ ამას ფიზიოლოგიური თეორია ხაზს უსვამს, ჩვენ აღვნიშნავთ მის დამსახურებას. მედიცინაში დიდი ხანია მიღებულია, რომ ბავშვის ავადმყოფურ მდგომარეობაში პირველად თავს იჩენს თამაშის შეწყვეტა. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თამაშის და თუნდაც ხელოვნების განვითარება-გავრცელების ფარგლები და დონე უსათუოდ დაკავშირებულია ადამიანთა ამათუნი ძალთა განწყობილებასთან. ამის უამრავი მაგალითი გვაქვს კაცობრიობის წარსულ ისტორიაში (თუნდაც ძველი ბერძნები) და მის დღევანდელ პერიოდში. ამის უდიდეს მაგალითს გვიჩვენებს ჩვენივე ქვეყანა, სადაც შინაძაღების დაგროვებასთან ერთად პროპორციულად ვითარდება, ფართოვდება და მალღდება სხვადასხვა სახის პროცესები, რომელნიც შეიძლება მივაკუთვნოდ თამაშს და აგრეთვე ხელოვნებას.

ფიზიოლოგიური თეორიის დადებით იდეებად მივიჩნევთ აგრეთვე თამაშის „თავისუფლებისა“ და „სიამოვნების“ პრინციპებს. პირველი ჩვენ საკმაოდ შეთვისებული გვაქვს ცხოვრების საყოველთაო მოვლენებში. ხოლო მეორე პირველის განუყრელი კომპონენტია. ჩვენთვის საეგზეთ მისაღებია სიამოვნების პრინციპი, როგორც საერთოდ ცხოვრებაში, ისე ბავშვის აღზრდაში. პედოლოგია უყოყმანოდ დებულობს მეცნიერების ისეთ რჩევას, როგორც არის, მაგ.: მარცინოვსკის რჩევა — „სიხარულის მორგეობაში აცურეთ ბავშვები“-ო.

გაკვრით შევხებით პრეიერისა და პროფ. სიკორსკის შეხედულებას თამაშის პროცესებზე, როგორც განსაკუთრებულ ინტელექტუალურ მოქმედებაზე, სადაც სიამოვნებაც მხოლოდ ასეთივე მოქმედების შედეგად არის წარმოადგენილი.

სიკორსკის აზრით: „თამაშში სრულიად არ არსებობს ემოციური ელემენტები; იქ გამოხატულია მხოლოდ გონებრივი მოქმედება“. კოლოცა, რომლის შრომიდან ჩვენ მოგვყავს ეს ციტატა, დასძინს: „არ ვიცი, შესაძლოა თუ არა, რომ ამაზე უფრო ნათლად გამოთქვა ფაქტებთან ასევე შეუფერებელი აზრიო. მართლაც, თამაშის კვლევის შემდეგი მასალები სრულიად ამართლებენ კოლოცას ამ შენიშვნას. საბჭოთა პედოლოგია მით



უმეტეს ვერ გაიზიარებს ადამიანის ფსიქიზმის ასეთ ხელოვნურ დაჯიშვას მაგრამ, როგორც ზემოდ ვთქვიდ, არც ერთი ელემენტი და პრინციპი არ გვაქვს ისე მიღებული და გაგებული, როგორც ეს წარმოდგენილია ფიზიოლოგ-ემოციურ თეორიაში. პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ის ტელეოლოგიური მიდგომა, რომელიც გამოსჭვივის ენერჯის მარაგის ცნებაში და მის ხელოვნურ განაწილებაში სხვადასხვა ნიჭიერებად (კოლოცა). გარკვეული ენერჯის ჯამი, ამ თეორიის მხმდევართა შეხედულებით, მოცემულია თანდაყოლილად და წინასწარი დანიშნულებით: ამდენი ამას და ამისათვის. ეს წარმოადგენს პრეფორიზმის კონცეპციას, რაც ჩვენ აღნიშნულ თეორიაში უნდა კატეგორიულად უარყყოთ. მეორე მთავარი უარყოფითი გარემოება, რომელიც აბათილებს აღნიშნულ თეორიის პოზიციებს, არის ის თვალსაზრისი, რომელსაც იგი იჩენს „თავისუფლებისა და სიამოვნების“ იდეების მიმართ. აქაც აღსანიშნავია მეტაფიზიკური „მიზნობრივი“ ძიება თავისუფლების და სიამოვნებისა, თითქოს ეს თვისებანი აგრეთვე ზეციური ძალისაგან იყოს ადამიანისათვის მიჩენილი და არა მის ბუნებრივ რეალურ საცხოვრებო გამოხატულებას წარმოადგენდეს. ამ დებულების განსავითარებლად საინტერესოა გავაშუქოდ ის ძირითადი ხაზი, რომელსაც აღნიშნული თეორია ატარებს თამაშისა და თითქო მხოლოდ მასთან დაკავშირებული დადებითი ემოციების მიმართ (თავისუფლების, სიამოვნების, სიხარულის), შრომის იმ პროცესებისაგან განსხვავებით, რომელიც, ცხადია, ამ თეორიით სრულ საწინააღმდეგო რამეს უნდა წარმოადგენდეს. ამ დაპირისპირებას ჩვენ ყველგან ვხვდებით, საცა კი თამაშის ძირითად ნიშნებს ეძებენ. აი ამ თეორიის დებულებები: თამაში იძლევა სიამოვნებას იმიტომ, რომ იგი თავისუფალია; თამაში თავისუფალია მით, რომ იგი გარე მიზნებს არ ემსახურება; შრომა ემსახურება გარე მიზნებს, ამიტომ იგი თავისუფალი არ არის; შრომა არ არის თავისუფალი, ამიტომ იგი სიხარულს და სიამოვნებას ვერ მოგვცემს. ამგვარად, თამაში და შრომა ანტიპოდები არიან. რამდენად საინტერესოა ბურჟუაზიული მეცნიერების ასეთი შეხედულება შრომაზე და რამდენად მართლაც შეესაბამება იგი შრომის მდგომარეობას (და მასთან დაკავშირებულ ემოციებს) კაპიტალისტური წყობილების პირობებში! ამასთანავე, რამდენად განსხვავდება იგი საბჭოთა მეცნიერების შეხედულებისაგან შრომაზე და მასთან დაკავშირებულ ემოციებზე ჩვენს პირობებში! ვის არ ახსოვს სტალინის ის უაღრესად მკვეთრი სიტყვები სოციალისტურ შრომაზე, რომლებიც შრომის იდეის აპოთეოზად უნდა იქნას მიჩნეული; ამას დაუვმატოთ ის მხატვრული სახეები, რომლებიც ჩვენ მოგვცა მ. გორკიმ შრომის სიხარულის შესახებ, სულერთია, ფიზიკურია ეს შრომა თუ ფსიქიკური. გავიხსენოთ გორკის სურათები მტვირთველთა შრომის სიხარულზე. ასეთსავე სიხარულს აღნიშნავს გორკი ინტელექტუალურ პროცესებთან დაკავშირებით: наследственные ночной подвижнической работой в тишине и одиночестве над белым



ЧИСТЫМ ЛИСТОМ БУМБАГИ;—РАДОСТЬ ПОКРЫВАТЬ ЭТОТ ЛИСТ УЗОРОМ
 ამის შემდეგ ვანა შესაძლებელია თამაშის დაპირისპირება შრომასთან იმ
 მოსაზრებით, თითქო მხოლოდ თამაშსა სდევს თავისუფლება და სიხარუ-
 ლი, ხოლო შრომა იძულებითი უარყოფითი მოქმედება არის. დიახ, ასეთი
 არის ის მხოლოდ იმ პირობებში, რომლებიც თვალწინ აქვთ ფიზიოლოგ.
 თეორიის ავტორებს.

ჩვენთვის კი შრომა არის დასაწყისი და დაბოლოვება ადამიანის არ-
 სებობისა. „შრომამ შექმნა ადამიანი“ (ენგელსი) და შრომა შექმნის მას
 ბედნიერ ადამიანადაც. შრომა განსაზღვრავს პიროვნების ყველა ფსიქო-
 ფიზიკურ მონაცემს, მისი ყველა საცხოვრებო აქტიობის გამოხატულებას,
 მის ენერჯიას, მის თამაშსაც. „შრომის შეილია თამაში“ — და მით განი-
 საზღვრება თამაშის სახეებიც. არ უპირისპირდება თამაში შრომას, ვინაი-
 დან მთლიანია ადამიანის პიროვნება და მთლიანია მისი საცხოვრებო გამო-
 ხატულება. შრომა არის ამ გამოხატულების ფუძეც და შენობაც. ადამიანი
 და შრომა—მთლიანობაა, ერთი ბედი აქვთ მათ ისტორიაში და ინდივიდ-
 ში. ფიზიოლოგ. თეორიის ადვოკატები ჩვენ მას გვაძლევენ ერთი ისტორი-
 ული თვალსაზრისით, რომელიც კაცობრიობის 5—6-ს ჯერ კიდევ ჰტოლბს.
 ჩვენ მას ვღებულობთ იმ სახით, რომელიც მას მიეცა კაცობრიობის მეექ-
 ვსედში. აქედან არის ჩვენი აზრთა სხვაობა, როგორც შრომის, ისე თამა-
 შის და ყველა სხვა საკითხში.

როგორ შეიძლება თამაში მივამსგავსოდ შრომას, კიდევ მეტი, რო-
 გორ შეიძლება იგი არ დაუპირისპიროთ შრომას, როდესაც უკანასკნე-
 ლი კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოადგენს ბედის სასჯელს, ტანჯვას, ვი-
 ნაიდან მშრომელი იქ შრომობს მხოლოდ იძულებით (თამაში კი „თავისუ-
 ფალია“), ლუკმა პურისათვის (თამაში არ ისახავს მიზნებს), შრომობს ექ-
 სპლოატაციის პირობებში, სხვის საკეთილდღეოდ (ბავშვი კი თამაშობს
 თავისი სიამოვნებისათვის).

ჩვენში კი მუშის შრომისადმი დამოკიდებულება დიალექტრალურად
 საწინააღმდეგოა. აქ მუშა შრომობს თავისთვის, შრომობს თავისუფლად,
 არა მონური ჰაპანწყევტით, არამედ შრომობს შეგნებულად და ხა-
 ლისით, გაყენთილთ სტენიური ემოცილობით. ასეთი შრომა ახასია-
 თებს სოციალიზმს და მას აქვს ყველა ის ელემენტი, რომელსაც
 ფიზიოლ. თეორია მხოლოდ თამაშს აკუთვნებს: თავისუფლება და და-
 დებითი ემოცილობა. შრომის მიზანმიმართულებაც არ ეწინააღმდეგება
 თამაშის პროცესს, მიზანშეწონილება ხომ თამაშსაც ახასიათებს. ბავ-
 შვი აწენებს თავის ციხე-სიმაგრეებს და მხოლოდ მაშინ მისწვდება სიხა-
 რულის მწვერვალებს. როდესაც კომუკს გუმბათით დახურავს, ხოლო მეტად
 იწყენს თუ შუა გზაზე ჩაუშლიან ამ მუშაობას. ანუ გარდა, საქმე არა მიზან-
 მიმართულებაშია, არამედ იმ გარემოებაში, რომ კაპიტალისტურ ქვეყა-
 ნაში შრომის მიზანი გარეშე ძალის მიერ არის მიცემული და არა მშრო-



მელის ნებისყოფით. აქედან გამომდინარეობს ის ემოციური სხვაობა ბურჟუაზიული პედოლოგები აწერენ შრომას და თამაშს. სოციალისტური შრომის პროცესებში ეს მექანიკური დაპირისპირება მოსპობილია. აღნიშნოთ აგრეთვე ის განწყობილება, რომელიც აქვთ შრომისადმი თვით ბავშვებს კაპიტალისტურ და ჩვენს პირობებში.

ბავშვების შრომა კაპიტალისტურ ქვეყნებში იმავე თვისებების მატარებელია, როგორც მათი მამების, ისიც ისეთივე მწვავე ექსპლოატაციის საგანია, როგორც მოზრდილის შრომა. მანქანის განვითარება შეძლებას აძლევს კაპიტალის სიხარბეს გამოიყენოს ბავშვის სუსტი ძალები. „მუშის ბავშვს კაპიტალიზმი ართმევს ბავშობას“.

საბჭოთა კავშირში სულ სხვა საფუძვლები და დანიშნულება ეძლევა ბავშვის შრომას; ექსპლოატაციის საშუალების მაგიერ იგი იკავებს „სოციალიზმის ბავშვის“ სწორი აღზრდის საშუალების როლს.

„მხოლოდ შრომაში, მუშებთან და გლეხებთან ერთად შეიძლება შევისწავლოთ კომუნიზმი“, გამოაცხადა ლენინმა საბჭოთა პედაგოგიკის მთავარ ლოზუნგად და ე/წ. პოლიტექნიზმის სისტემა შეიქმნა ამ ლოზუნგის გამახორციელებელ ფორმად. ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით ამ დიდი თემის გაშუქებაზე, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ როგორც მოზობლები, ისე ჩვენი მუშების შვილებიც არ განიცდიან კაპიტალიზმის დამახასიათებელ შრომის უარყოფითს მოვლენებს, რაც იქ უპირისპირდება თამაშის პრინციპს. ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ „შრომაც და თამაშიც ბავშვის ერთიდაიმავე ამოუშრეტელი აქტივობის წყაროდან იკვებებიან“. თამაშს ჩვენ განვიხილავთ, როგორც „შრომის შვილს“, რომელსაც არა აქვს მიზნად საზოგადოებრივ - სასარგებლო ნივთიერებათა შექმნა წმინდა ეკონომიური გაგებით, მაგრამ რომელიც თავის პროცესებში ქმნის ცხოვრების მთავარ „საქონელს“ თვით ადამიანს.

ამით ჩვენ დავკმაყოფილებით შილერ - სპენსერ - ბიულერის ფიზიოლ.-ემოც. თეორიის აკარგის გადმოცემაში. ჩვენ დავინახეთ, რომ გარდა საერთო იდეებისა (თავისუფლება, სიამოვნება), რომლებიც მათ მიერ მოცემულია სრულიად მიუღებელი დაყენებით და გაგებით, ჩვენ ამ თეორიიდან სარგებლობა არაფრისა შეგვიძლია. განვიხილოთ თამაშის შემდეგი თეორია, რომელიც აგრეთვე დამახასიათებელია ბურჟუაზიული მსოფლმხედველობისათვის.

ბიოგენეტიკური თეორია

ბიოგენეტიკური თეორია, შტენლი ხოლის მეთაურობით, გადმოტანილია პედოლოგიაში ბურჟუაზიული პედოლოგების მიერ საერთო ბიოლოგიიდან. ჰეკელის და მიულერის მოძღვრებით, ადამიანის ჩანასახი თავის

განვითარებაში დაწყებიდან (თესლიდან) დაბადებამდე იმეორებს ცხოველებს განვითარების ისტორიას. მაგ. პიჩველ კვირებში ადამიანის მიემსგავსება სხვადასხვა ცხოველის ორგანიზმს, დაწყებული ერთ უჯრედიანი ორგანიზმებით, და მხოლოდ თანდათანობით ღებულობს იგი ადამიანის დამახასიათებელ ჩამოსხმულობას. ჰეკელ - მიულერის ფორმულაა: „ონტოგენეზი იმეორებს ფილოგენეზს“; ე. ი. ინდივიდი იმეორებს ცხოველთა განვითარების ყველა საფეხურს. ბურჯუაზიულმა პედაგოგებმა ეს ღებულება გაავრცელეს უკვე ბავშვის განვითარებაზე დაბადების შემდეგ. მათ წამოაყენეს ღებულება: დაბადებიდან დაწყებული და ვათავებული სრული ასაკოვნებით, ე. ი. იმ პერიოდში, რომელსაც ეწოდება ბავშობის ხანა, ადამიანი გაივლის კაცობრიობის მთელ ისტორიას. კაცობრიობამ თავის ისტორიაში გაიარა ხანა ველურობის, მონადირეობის, მიწის დამუშავების, ვაჭრობა - მრეწველობისა; ბავშვიც თავის განვითარების 0—5 წლებში იმეორებს ველურისა, 4—12 წ. — მონადირისა, 9—14 მწყემსისა, 12—16 მიწისმუშისა და 15—18 წ. ვაჭრობის თვისებებს (გუტჩისონის სქემა).

როგორც ვხედავთ, სქემა ეხება განვითარების ფაქტორების პრობლემას, რომელსაც აღნიშნული მოძღვრება სწყვეტს, როგორც წინასწარ მოცემულ და უცვლელ პროცესს. ეს არის უაღრესად რეაქციონური მოძღვრება, რომელიც ადამიანს და მის განვითარებას წარმოადგენს, როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს მოვლენას, — მისი ბედი თავიდანვე განსაზღვრულია. ამ გაგებით ჩვენ ადამიანის განვითარებაზე არავითარი ზეგავლენის გატარება არ შეგვიძლია, რადგან ის „თავისით და შიგნიდან იშლება“ ისე, „როგორც მუხის ხე სათანადო თესლიდან“ (ვიგოტსკი). უნდა აღინიშნოს, რომ ბურჯუაზიული პედაგოგების მეორე ჰეკელის კანონის ასეთი „გამოყენება“ სრულიად უმართებულა. კანონი სათანადო გაგებით (ისტორიული განვითარების გზაზე ახალი ბიოლოგიური ფონდების გამომუშავება) სრულიად არ იძლევა საბაზს ავადოთ მასზე რეაქციონური მოძღვრება, როგორც არის შტ. ხოლის კონცეპტია ბავშვის განვითარებაზე, მაგრამ ამაზე ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით.

იმავე გაგებას ავრცელებს შტ. ხოლო ბავშვის თამაშზე. აქაც ყოველივე წარმოდგენილია განსაზღვრული ერთსახოვან მოვლენებად. ბავშვის თამაშში გვისაბუთებს სხვადასხვა მხარეს კაცობრიობის განვლილი ისტორიიდან. ყოფაქცევა ველურის, მონადირის, მწყემსის, მიწის მუშის და ვაჭარ - მრეწველის — აი ბავშვის თამაშის შინაარსი ასაკობრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

თავისთავად ნათელია თამაშის ამ თეორიის უმართებლობა, მისი მისტიკური და ხელოვნურ ხასიათი, რაიც სრულიად არ შეეფერება თამაშის მრავალფეროვან სახეობას ასაკისა და გარემო წრის პირობების მიხედვით. ბიოგენეტიკური თეორია ისევე სრულიად გამოუსადეგარია თამაშის პროცესების გასაგებად, როგორც გამოუსადეგარია ბავშვების და მისი

სხვა მოვლენების გასაგებად შტ. ხოლის და მისი თანამოაზრეთა ბიოლოგიური თეორია საერთოდ. განსაკუთრებით არ ეგუება იგი მარქსისტულ პედოლოგიის პრინციპებს ადამიანის დინამიკურობის, ცვალებადობის და გარემოსთან მისი მთლიანობის შესახებ.

შემდეგი თეორია, რომელსაც ამჟამად დიდ ანგარიშს უწევს ბურჟუაზიული მეცნიერება, ხოლო ნაწილობრივ საბჭოთა პედოლოგიაც, ეკუთვნის გერმანიის გამოჩენილ მეცნიერს, ადამიანისა და ცხოველის თამაშის ფუნდამენტალურად მცოდნე კ. გროოსს. მისი თეორია ცნობილია მეცნიერებაში, როგორც თამაშის

ბიოლოგიური თეორია

კ. გროოსის თეორია არ აყენებს თამაშს, როგორც ბავშვის ცხოვრების დამოუკიდებელ მოვლენას; იგი თამაშს განიხილავს, როგორც საერთო ბიოლოგიურ ღირებულებას. გროოსის აზრით, ბავშვის თამაშში წარმოადგენს ადამიანის მომავალი საცხოვრებო ბრძოლისათვის მზადება თამაშის ვარჯიშია, რომლის დროს ბავშვი ითვისებს მომავალი ცხოვრებისათვის გამოსადეგ თვისებებს. ყოველი ცხოველი იბადება ცხოვრებისათვის ამა-თუ იმ ფარგლებში მომზადებულად და ეს მზადყოფნა იმდენად ნაკლებია რამდენადაც რთულია თვით ცხოველი და მისი საცხოვრებელი წრე. უმარტივესი ცხოველები ცხოვრობენ უმარტივესივე წრეში და მათი საცხოვრებო შეიარაღება თითქმის დაბადებიდანვე სრულია. იგივე არ არის რთული ცხოველის დაბადებისას, რომელსაც ცხოვრება მოუხდება რთულ პირობებში; მისი მზადყოფნა არა სრულია. აქედან გამომდინარეობს შემდეგი შეხედულება: თვით ბავშვობის ასაკი ბიოლოგიურად მოცემულია როგორც ვადა, როდესაც ახლად დაბადებული უმწეო ცხოველი თამაშის პროცესების მეოხებით უნდა გაეცნოს მომავალ საცხოვრებო წესს და შეიარაღდეს საბრძოლველი იარაღით, ცოდნით და გამოცდილებით, არკინის სხარტი გამოთქმით: „ამისათვის საჭიროა დრო და საშუალებანი, დრო ეს ახალგაზრდობაა, საშუალებანი — თამაში“; როგორც დრო ისე საშუალებები, რასაკვირველია, უნდა შეეფარდებოდეს ცხოველის სირთულეს.

ახლად წარმოშობილი თევზი რომლის გარემო სადაა, დაუყოვნებლივ იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას, იგი დაბადებიდანვეა მზად. ამა თუ იმ ცხოველის ბავშვობის ხანგრძლიობა შეეფერება მის მზადების საჭიროებას. თავის ბავშვობა უდრის მთელი სიცოცხლის 1/15, ძაღლის — 1/7,5, კატის 1/12, ცხენის — 1/5, სპილოს — 1/3,5, ადამიანის — 1/3. ადამიანი ყველაზე მეტად ჩამორჩენილია მზად — ყოფნაში. მისი გარემოწრე ისე რთულია, რომ მას არ შეუძლია მოემზადოს მისთვის დაბადებამდე. აქედან გამოყავთ მეორე დებულება — ცხოველის დაბადების წინახანა იმდენად ხანგრძლი-



ვია, რამდენადაც ემბრიონალური პერიოდი გამოსადეგია საცხოვრებლად შეიარაღებისათვის. ამ გაგებით ცხოველი „იგვიანებს“ დაბადებას, რომ შეტად მზადყოფი მოველინოს ცხოვრებას. ადამიანი კი, ბლონსკის თქმით „ჩქარობს“ დაბადებას, რადგან მას მხოლოდ თვით ცხოვრების პირობებში შეუძლია მიიღოს რთული გარემოსათვის შესაფერისი იარაღები. ამ დებულებას შემდეგი ციფრები ასაბუთებენ:

ძალის მთელი სიცოცხლე უდრის	15 წელს;	ბავშობა-2 დაბ-მდე	40 კვ.
კატა.	12	1	50 „
ცხენი	40	8	20,5 თვე
სპილო	120	35	15 „
ადამიანი	75	20	9 „

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ, გროსის თეორიით, საცხოვრებო სამზადისი პერიოდები: დაბადების წინა ხანა და ბავშობის პერიოდი უკუპროპორციით ხანგრძლივი არიან იმის მიხედვით, თუ რა სირთულის სამზადისი სჭირდება ცხოველს და ხად შეუძლია მას მიიღოს საჭირო მომზადება. იარაღიც ამ საცხოვრებო ბრძოლისათვის — თამაშიც კანონზომიერად არის მოცემული ცხოველთა შორის.

რაც უფრო ქვევით მივდივართ ზოოლოგიურ კიბეზე, იმდენად ნაკლებად ვხედავთ თამაშის მოვლენებს ცხოველთა შორის. უკვე აღვნიშნეთ, რომ ქვემძრომნი არ თამაშობენ (ბრმები); თევზებს აღვნიშნებათ მოძრაობანი, რომელნიც წააგავენ თამაშის პროცესებს. თამაშობენ ჭიანჭველები, ფრინველები და ძუძუმწოვრები. მათი თამაშის გამოხატულება მით უფრო რთულია და მალალი, რაც უფრო მალალია ამათუიმ ცხოველის განვითარების დონე. უმაღლეს მწვერვალამდე აღწევს ცხოველებში ადამიანის შემდეგ ცხოველთა შორის უმაღლისი ცხოველის — მაიმუნის თამაში. დარვინი აღნიშნავს, რომ მაიმუნს უკვე აქვს კომიზმის გრძნობა. ერთი ზოოპარკში მცხოვრები მაიმუნი განზრახ წამოიხურავდა ხოლმე თავზე ჭურჭელს, რომ ამით გამოეწვია მაყურებელთა სიცილიო, გადმოგვეცემს დარვინი. ბრმებიც ადასტურებს „თვალთმაქცი მაიმუნის“ არსებობას. მსგავს მოვლენას აღნიშნავენ მკვლევარები ფრინველებშიც. „არც ერთი ცხოველი არ ტყება სიცოცხლით ისე, როგორც ფრინველი“, — ამბობს კოლოცა. არიან ფრინველები, რომელნიც ისეთსავე ფოკუსებს აკეთებენ, როგორც მაიმუნები. მაგ. „ფიგლიარი“ ეწოდება ერთ ფრინველს (ლევალიანი), რომელიც ნამდვილი აკრობატულ ფიგურებს აკეთებს ჰაერში — (კურავს, ხტის, ჭანაობს, თამაშობს). არიან ფრინველები რომლებიც ჰბაძავენ სხვა ფრინველებს და ცხოველებს, ეს თვისება მათ ბავშვებთან ანათესავენსო, გადმოგვეცემენ ავტორები. ნაუმანი მიგვითითებს ერთ ფრინველზე, რომელიც ჰბაძავს მერცხალს და მრავალ ფრინველს: გურენის ცნობით, ჯაფარა ჰბაძავს კატას, მამალს, ქათამს, რომანესი ავეიწერს იმ რთულ კოლექტიურ

მანიპულაციებს, რომლებსაც აწარმოებენ ქიანქველები და რომელნიც საჯარო დღეობის სურათს მოგვაგონებენ (არკინიდან). საყოველთაოდ ცნობილია ადამიანის უახლოესი ცხოველების თამაში — ძაღლისა, ცხენისა, კატისა და სხ. უმაღლეს ფორმებში წარმოგვიდგება ცხოველების უმაღლეს ფორმაციის ადამიანის თამაში.

ყველა ზემოთ აღნიშნული ცხოველი ეძლევა თამაშს თავის ბავშობის პერიოდში და ამით ავარჯიშებს ძალებს მომავალი ბრძოლებისათვის. ამის შესაძლებლობა ცხოველებს ეძლევათ იმ გარემოებით, რომ **საცხოველებო ძალები** — გროოსი სთეორიის მიხედვითაც — **მათ თანდაყოლილი აქვთ და თამაშობისადმი მიჯრეკილებაც თანდაყოლილი თვისებების, ინსტინქტების მეოხებით ხდება.** ეს არის მეორე დედა-აზრი გროოსის ბიოლოგიური თეორიის: ცხოველი ინსტინქტურად ავითარებს მხოლოდ იმას, რაც მისთვის ბუნებას მემკვიდრეობით გადაუტოვია. კლაპარედის თქმით, ჩვენ ვეროდეს დავინახავთ კატის კნუტებს, რომ ისინი ერთმანეთს შუბლებით ებრძოდნენ (როგორც თხები, ა. გ.), მეორე მხრით, თიკანი არასოდეს წაეთამაშება ქალაღლის ნაჭერს, რა რიგ მის თვალწინ არ ვატრიალოთ იგი. (როგორც ამას ჩადის ცინდალი, ა. გ.). გროოსის შეხედულება თამაშის ინსტიქტურობის შესახებ კიდევ უფრო პროგრესულია სხვა ბიოლოგისტების შეხედულებასთან შედარებით, რამდენადაც ის არ ცნობს **სპეციალურ სათამაშო ინსტინქტს**, როგორც სხვები, არამედ თვლის, რომ თამაშს ამოძრავებენ და მით მოძრავდებიან ადამიანის საერთო ინსტინქტები.

ყველა ზემოთ მოყვანილი თეორიის — ამ რიცხვში გროოსის ბიოლოგიური თეორიისაც — ნაკლი ის არის, რომ ისინი განიხილავენ თამაშს, როგორც გამომდინარეს „შიგნიდან“, მხოლოდ თვით ორგანიზმის ბიოლოგიური მონაცემებიდან, წინასწარ ჩანერგილთავან უზენაესი ძალების მიერ ერთხელ და სამუდამოდ დაფუძნებული გონივრული მიზნებისა და კანონების საფუძველზე. გროოსის თეორიაც, რომელმაც თამაშის მნიშვნელობა სამართლიანად ასწია სათანადო სიმაღლეზე, ვერ განთავისუფლდა ამ ტელეოლოგიურ მსოფლმხედველობისაგან. მისი, საერთოდ სწორი, იდეა „საცხოველებო ვარჯიშის“ შესახებ იმავე მისტიკური წინა-დანიშნულების სახით არის წარმოდგენილი. ყოველივე ეს ხდება იმის გამო, რომ ბურჟუაზიული მეცნიერების მსოფლმხედველობა, იდიალისტურ პოზიციებზე აგებული, არ უწყევს საკმაო ანგარიშს იმ ძალას, რაც ბუნებრივად გადამწყვეტი და გამაფორმებელი ძალაა ადამიანისათვის ყველა მის გამოხატულებაში. ჩვენ ვლაპარაკობთ სოციალურ წრეზე. ბავშვის თამაშიც ამავე ძალაზეა დამოკიდებული და მით არის განსაზღვრული, ასეთი აზრი შეაქვს ბავშობის თამაშის პრობლემაში და მით კარდინალურად ცვლის მის გაგებას მარქსისტული კონცეპცია, რომლის ათვისებას ცდილობს ამჟამად საბჭოთა პედოლოგია. ასეთი თეორიული მიდგომა თამაშის რაობის მიმართ შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც ბავშვის თამაშის სოციოლოგიური თეორია.

თამაზის სოციოლოგიური თეორია

პლენანოვმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბავშვის თამაში, ისე როგორც საერთოდ ბავშვი, როგორც საერთოდ ადამიანი უნდა აღებულ იქნას როგორც მთელი საცხოვრებო პირობების პროდუქტი — შრომის საფუძვლებზე. ამ გაგებით თამაში არ შეიძლება აღებული იქნას საერთო ჭრალში ცხოველების თამაშთან, ისე როგორც არ შეიძლება თვით ბავშვი ჩავაყენოთ პირდაპირ ანალოგიაში ცხოველებთან. ბავშვი და მისი საცხოვრებო გამოხატულებანი სრულიად სხვა კანონზომიერებას ექვემდებარებიან, ვიდრე ცხოველები. ისინი პრინციპულად სხვაობას წარმოადგენენ: მაშინ, როდესაც ცხოველები ჩვენ წარმოგვიდგებიან, როგორც ბუნებრივი გარემოწრის შვილნი, რომელნიც უმთავრესად ინსტინქტებით ვითარდებიან და ცხოვრობენ, ადამიანი განიხილება, როგორც ხელოვნური გარემოწრის, სოციალურ გარემოწრის შედეგი, დაკავშირებული ცხოვრებასთან შრომის პროცესების ნიადაგზე, განვითარებული ფსიქიკით და ცნობიერებით.

ბავშვის თამაშიც რეალური საცხოვრებო პირობებით განისაზღვრება, სადაც მეფობს იგივე შრომა. პლენანოვის თქმით, თამაში შრომის საფუძველზევე იზრდება.

ამ გაგებით, თამაში წარმოადგენს გარემოს მოვლენებში აქტიურ ორიენტაციას იმ სახით, როგორც ეს მისაწვდენია ბავშვისათვის. გარემოწრე, და არა ინსტინქტები, ავითარებს თამაშს და ამსახით იმ თვისებებს, რომელნიც საჭიროა ცხოვრებისათვის. ეს ყველაფერი ხდება ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში, სადაც ბავშვს უხდება თავის აქტივობის რეალიზაცია. დიდ როლს თამაშობს მის მოქმედებაში მიბაძულება მოზრდილთა მოქმედებებზე. მიბაძულების დიდი როლი გარკვევით არის აღნიშნული კოლოცას მიერაც. „მიბაძველება ელამენტარული და ძლიერ გავრცელებული მოვლენაა ცხოველთა და ადამიანთა შორის“, ამბობს კოლოცა და დასძენს: „ბავშვის ნაადრევი ასაკის თამაშის უმეტესი ნაწილი წარმოგვიდგება როგორც მოზრდილთა მოქმედების მიბაძვა“-ო. ბავშვის შემდეგ ასაკებში, მისი განვითარების ამალეებასთან დაკავშირებით, უფრო-და-უფრო რთულდება თამაშის სახეობანი. აქ უკვე ადგილი აქვს ბავშვის შემოქმედებითი ძალების რეალიზაციას (წარმოსახვა და სხვა). ყოველთვის ახასიათებს ბავშვის თამაშს და ამით ასხეავებს მას ცხოველთა თამაშისგან ის გარემოება, რომ ბავშვი აქტიურ ზეგავლენას ახდენს გარემოზე. იგი ცვლის გარემო პირობებს თავის სურვილების მიხედვით: ყოველ შემთხვევაში „ცნობს“ და „განიხილავს“ მათ ისე, როგორც მის მიზნებს შეეფერება. ბავშვი აწყობს სცენას და თამაშობს ამათუიმ როლს („ანბულატორია“, „სკოლა“



„ფაბრიკა“). აქ ვხედავთ ადამიანის ცხოვრების მოვლენებს, ბავშვი თავისი ძალების მიხედვით აქლავნებს. სწორედ ამ რეალურ პირობებში ავითარებს იგი თავის ძალებს და არა მომავალი ცხოვრებისათვის, არამედ ყოველდღიური ცხოვრებით აწყვოში, ვინაიდან ცხოვრება რეალური და აქტიურია ადამიანისათვის ყოველ მოცემულ სეგმენტზე. ბავშვი კი არ „ემზადება“, არ „სწავლობს“ მომავლისათვის, როგორც მას მოგვიტონობს კ. გროსი, არამედ ცხოვრობს და შრომობს თავისი მონაცემების მიხედვით. თამაშიც შრომის შეილია და მისი წინასახეობა. უჭ, რა მძიმე შრომაში ვარო“, ამბობს სკუპონის 5 წლის ვაჟი ბუბი, „როცა ის მთელი საათობით აშენებს სხვადასხვა შენობას, „ბედნიერია, როცა ამთავრებს და უბედურია, როცა ხელს შეუშლიან“ (არკინი). „მე ძალიან მიყვარს მუშაობა“, ეუბნება არკინს მისი სამი წლის გოგონა ნატაშა.

ამგვარად, ბავშვის თამაში უნდა წარმოვიდგინოთ საცხოვრებო პირობებთან განუყრელად, გარემოწრესთან მისი აქტიური ურთიერთ-შეგავლენის გამოხატულების სახეობად, არა როგორც სკოლა, არამედ როგორც საცხოვრებო ასპარეზი. რამდენადაც რთულ პირობებს წაუყენებს გარეშე პირობები ბავშვს, იმდენად გამახვილდება მისი ფსიქოფიზიკური „მე“ და გამოიკვედება საცხოვრებო იარაღები. საითკენ არის მიმართული ბავშვის აქტიურობა? როგორც აღვნიშნეთ, ბურჟუაზიულ პედოლოგთა შორის განმტკიცებულია ის აზრი, რომ თამაში „მოქმედებაა — მოქმედებისათვის“, თვით მიზნობრივად განსაზღვრულია. სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებას გამოთქვამს ამ საკითხზე პროფ. დ. უზნაქე, მისი აზრით ბავშვის თამაში წარმოდგენილია, როგორც შრომის ერთგვარი წინასახეობა, რამდენადაც შრომა ფილოგენეტიკურად წინ უსწრებდა ბავშვის თამაშს, ხოლო ონტიგენეტიკურ განვითარებაში კი თამაში წინ უსწრებს შრომას, როგორც მისი წინა საფეხური.

ბავშვის თამაშის შინაარსი, სტიმულები, კლასიფიკაცია

ეფრუსის გადმოცემით, ბავშვის თამაში ხორციელდება სხვადასხვა ფორმებში, რომელთაგან უმთავრესია; 1. თავისი სხეულის სხვადასხვა ორგანოს და ნაწილის ვარჯიშობა, ე. ი. სხვადასხვა მოძრაობით ვარჯიშობა (კერძოდ, ბგერით), 2. თავისი სხეულის გარემო ობიექტებთან მდებარეობის შეცვლა, — 3. ობიექტების თავისი სხეულისადმი მდებარეობის შეცვლა. ბავშვის საერთო განვითარებასთან ერთად რთულდება თამაშის სახეობა და შინაარსი. პირველ ყოვლისა, ბავშვს სჭირდება დაეუფლოს თავის სხეულს და ახლობელ ვიწრო გარემოს. მისი „საცხოვრებო ასპარეზის“ შესაფერისად ეს გამოიხატება მხოლოდ მარტივ მოძრაობაში, რომელნიც შემდეგ სხვადასხვა სირთულით მოქმედებად გარდაიქმნებიან,



ყოველივე ეს ცხოვრების დაკვეთების სიძნელეებთან პროპორციულად უზობის შემდეგ ეტაპებზე ცხოვრების ასპარეზი ფართოვდება, დაკვეთები რთულდება, სიძნელენი მატულობენ, ვიდრე ბავშვი სავსებით აითვისებდეს სოციალურ წრეს. მისი თამაშის სახეობანი და შინაარსიც ყოველ ეტაპზე შესატყვისია. თამაში ყოველთვის სარკეა ბავშვის გარემოწონისა და გამოხატულია ყოველთვის ბავშვის ასაკობრივი და კლასობრივ სოციალური ცხოვრების მთლიან ჭრილში.

აქ ჩვენ ვხედავთ გარემო წრის ყველა სახეობას: საყოფაცხოვრებო, საწარმოო, სოციალურს. ლენინგრაძელ პედოლოგებს მეცცერს და მეჟერნიცკაიას მოყავთ ბავშვის თამაშის შინაარსის შესახებ (ასაკობრივ ჭრილში) შემდეგი მასალები.

თამაშის სახეები

საბავშო ბაღის ჯგუფები:	უმცროსი	—	საშუალო	—	უფროსი
საყოფაცხოვრებო	—	51%	—	40%	— 27%
სოციალური	—	30,,	—	34,,	— 43,,
საწარმოო	—	15,,	—	26,,	— 30,,

ჩვენ ვხედავთ, რომ ბავშვთა განვითარების გზაზე პირველად სჭარბობს საყოფაცხოვრებო, შემდეგ საერთო სოციალური და შემდეგ საწარმოო შთაბეჭდილებები. ეს სავსებით შეესაბამება ბავშვის მიერ გარემო ასპარეზის გაფართოება - დაპყრობას.

ბავშვის თამაშის სტიმულებიც იმავე ილუსტრაციას გვაძლევენ. ელკონინით თამაშის სტიმულები არის: 1. გარემოწრეში ბავშვისთვის ახალი და მიუწვდომელი მოვლენებისა და პროცესების არსებობა; 2. ამ მოვლენების მნიშვნელობა და 3. მათდამი ბავშვის გარშემომყოფ პირთა განწყობილება. **ბავშვის თამაშში ჩვენ დავინახავთ ამათუ იმ წრეში არსებულ სიმპათია - ანტიპათიას ამათუ იმ მოვლენისადმი.** მაგ. ბურჟუაზიული წრის ბავშვები დიამეტრალურად მოწინააღმდეგე განწყობილებას გვაძლევენ რევოლუციონური მოვლენებისადმი, შედარებით პროლეტარულ ბავშვებთან.

ჩვენი ბავშვების თამაშში ჩვენ ვხედავთ წინა წლებში სამოქალაქო ომისა, ხოლო ამჟამად სოციალისტური მშენებლობის სურათებს, წარმოების პროცესებს, კოლექტიურ გამოსვლებს და სხვა. ამჟამად ნაგულისხმევია, რომ გერმანელი პროლეტარის ბავშვების თამაშში აღვივებთ რეიხსტაგის დაწვისა და გმირი დიმიტროვის პროცესის ეპიზოდებს.

ლიტერატურაში ცნობილია თამაშის მრავალი კლასიფიკაცია, რომელთაგან ჩვენ სანიმუშოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე. კ. გროოსის კლასიფიკაცია:

1. თამაშობანი, რომელნიც აკმაყოფილებენ ბავშვის ინდივიდუალურ ლტოლვილებებს და რომელნიც ბავშვს აძლევენ შეძლებას „დაიპყრას“ თავისი ფსიქოფიზიოლოგიური ფუნქციები.



2. თამაშობანი, რომელნიც აწესრიგებენ ბავშვის სოციალურ-დამოუკიდებულებას, ბავშვის კავშირს ცოცხალ არსებებთან. მთლიანად გროოსის კლასიფიკაცია წარმოვედგება შემდეგნაირად (თამაშობანი — ექსპერიმენტები. ვარეშე გრძნობების ვარჯიში. მამოძრავებელი აპარატის ვარჯიში).

1. თამაშობანი თავისი სხეულის გადატან-გადმოტანით. 2. თამაშობანი ვარეშე საგნების გადატან-გადმოტანით (უმაღლესი სულიერი მონაცემების ვარჯიშობანი). 1. ექსპერიმენტები ინტელექტური, ემოციური, ნებიითი. (თამაშობანი, რომელნიც აკმაყოფილებენ მეორე წყების მისწრაფებას). თამაშობანი შეჯიბრის, სიყვარულის, წაბაძვის, სოციალური.

როდინის მიერ მოწოდებულია თამაშის შემდეგი კლასიფიკაცია: თავისუფალი და ორგანიზებული თამაში. თავისუფალი თამაში დამახასიათებელია სკოლის წინარე და პირველ სასკოლო ასაკებისათვის. აქ არ არსებობს წესები, თამაში ცხოვრების თავისუფალი იმიტაცია არის (ომი, სკოლა, ამბულატორია, ფაბრიკა). ორგანიზებული თამაში უმაღლესი სახეობაა. აქ გვაქვს წესები, სისტემა. აქაც შეიძლება შემდეგი დაყოფანი. მოტორულად უფრო აქტიური (მარტივი და ჯგუფობრივი, რიტმულ-გიმნასტიკური, დრამატული, სპორტული) და მოტორულად არა აქტიური. ინტელექტური: სიტყვების კომბინაციებში შეჯიბრება, შარადა, ამოცანა, ჭადრაკი. საშუალო ადგილი ამ ნიშნით უკავია ბილიარდის თამაშს.

მოვიყვანოთ კიდევ ფრებელის კლასიფიკაცია, რომელიც საკითხს უდგება სააღმზრდელო პედაგოგიური თვალთხედვით. ფრებელის მიხედვით განირჩევა თამაშის შემდეგი ჯგუფები:

I 1). ნამდვილი ცხოვრების მიბაძვა, 2. სკოლაში მიღებულის გამოყენება, 3. შემოქმედებითი და სახვითი მოქმედების პროდუქტები.

II. 1) სხეულოვანი თამაშობანი, გამომხატველი სასიცოცხლო მოქმედებათა, რომელთა დანიშნულებას შეადგენს ძალის და მოქნილობის გავარჯიშება. 2. შეგრძნებათა თამაში — დამალვიანობის თამაში ამახვილებს სმენას, ფერადებისა და ტყორცნის თამაში ამახვილებს მხედველობას. 3. გონივრული თამაშობანი: ამოცანები, კარტი.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრავალი მოწოდებული კლასიფიკაციისა, რომელშიაც ავტორები სხვადასხვა თვალსაზრისით ანაწილებენ თამაშის სახეობებს, ჩვენ არა გვაქვს არც ერთი საკითხის საგნებით ამომწურავი კლასიფიკაცია. თამაშის მრავალსახეობა ვერ ეტევა ვერავითარ კლასიფიკაციაში, ვინაიდან ის არის მრავალსახოვანი და შემოუფარგლავი ცხოვრების ერთ-ერთი გამოხატულება. უფრო ეგუება ერთგვარ სისტემატიზაციას თამაშის განვითარების ასაკობრივი გამოხატულებანი.

ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ თამაშის განვითარების მთავარ ეტაპებს. გავიხსენოთ არკინის თქმა, რომ ჩვენ არ ვესწრებით ბავშვის თამაშის პირველ წამოწყებითს მომენტებს. სხვა ავტორებიც ამასვე აღნიშნავენ. უკვე



მეორე თვიდან იწყება ბავშვის „ექსპერიმენტები“ ჯერ თავისავე სხეულის ეფორუსის გადმოცემით: 4 თვემდე ბავშვი ეთამაშება თავისი სხეულის ნაწილს. ამავე დროს გვაქვს შტერნის აღნიშვნით ბგერის თამაში — ლულუნი. მეხუთე თვიდან ბავშვი ცდილობს შესცვალოს თავისი სხეულის ადგილმდებარეობა, შემდეგ — შესცვალოს გარეშე საგნების მდებარეობა და, საერთოდ, მოახდინოს ექსპერიმენტები მათზე: ასწევს, დასწევს სათამაშოს; ფხაჭნის, სცემს საგნებს ერთიმეორეს (კელლერის, ბიულერის და სხვების შეხედულებით აქ ჩვენ გვაქვს საწარმოო იარაღის ხმარების პირველი სახე). 7 — 8 თვეზე ბავშვი იჩენს ე. წ. **დესტრუქციულ ტენდენციებს**: იგი ამტვრევს საგნებს, ხევის ქაღალდს, ისერის სათამაშოებს და სხვა. 8 — 9 თვეზე ამას მოჰყვება **კონსტრუქციული ტენდენციები**: ბავშვი აერთებს საგნებს, აწყობს მათ ერთეულებში და, საერთოდ, ცდილობს ახალი ფორმების შექმნას. 3. შტერნი მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ „როგორც ყველა ისტორიულ განვითარებაში, ისე ბავშვის სულის განვითარებაშიც დამხობა (ნგრევა) წინ უსწრებს აშენებას“-ო.

საინტერესოა ბავშვის დესტრუქციული აქტიობის საკითხი. ზოგი ამ მოვლენას ხსნის ბავშვის თანდაყოლილი სიმბოროტით, ზოგი თანდაყოლილი ცნობისმოყვარეობით. შტერნი ორთავ მოსაზრებას უარყოფს და თვლის, რომ აქ ადგილი აქვს ბავშვის აქტიობის ბუნებრივ გამოხატულებას: იგი ცდის საგნებზე თავის ძალას, ხვდება წინააღმდეგობას, შედის ბრძოლაში და ახდენს თავისი ძალის სრულ რეალიზაციას (ამტვრევს სათამაშოს). ეს პროცესი აძლევს მას სინარჯის გრძობას. შტერნის ეს მოსაზრება მისაღებია, რამდენადაც ის არ გვაწვდის ბრძოლის ინსტინქტის, ტენდენციის იდეას, რაც მრავალ ბიოლოგისტს ახასიათებს. მაგ. გიუოსათვის ბრძოლა თამაშის უღრმეს, ძირითად თანდაყოლილ თვისებად არის მიჩნეული. ის მიგვითითებს, რომ ველურ ხალხს და ცხოველებს ახასიათებთ ყოველი თამაშის ბრძოლად, ჭიდაობად გარდაქმნა (ველურთა ცეკვა, ცხოველთა ჭიდილი). კოლოცა ამბობს: მოჰადრაკე თავისდა შეუგნებლად თავისი წინაპრების დაპყრობითი მისწრაფებებით ხელმძღვანელობსო. აქედან უშუალოდ გამომდინარეობს ფაშიზმის ველური თეორიები დამპყრობელი რასების შესახებ და ომების აღიარება, როგორც კაცობრიობის აუცილებელი და სასურველი მოვლენისა.

9 — 10 თვეზე ბავშვის თამაშობაში შემოდის ახალი ელემენტი — „მეორე პირი“. ეს არის უმთავრესად ვინმე ახლობელი — დედა, ძიძა და ორი წლის ფარგლებში — სხვა ბავშვიც. ბავშვის სოციალური კონტაქტის გამოხატულებაა პირველ ყოვლისა, ღიმილი, შემდეგ გათამაშების სხვადასხვა ფორმა: დამალვიანობა (დაიფარავს სახეს — „დაიმალება“ და ისევ გამოაჩენს), საგნების მალვა და სხვა. აქ პირველად მქლავნდება ბავშვის წაბაძვითი მოქმედება, რომელსაც შემდეგში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თამაშობაში და განვითარებაში.

ნეიგებაუერს შესწავლილი აქვს ბავშვის მიერ კომიკური ელემენტის
გაგებისა და გამოყენების საკითხი. ეს საკითხი საერთო ინტერესის საგანია
ადამიანის ცხოვრებაში. კომიზმის გაგება და განხორციელება ცხოველისა
და ადამიანის ფსიქიკის ერთგვარი მაღალი დონის გამოხატულებაა.
ამასთან ერთად, ბენის აზრით: „სერიოზულობა და ხუმრობა მუდმივი
წინააღმდეგობანი არიან ადამიანის ცხოვრებაში, ხასიათში და ურთიერთ-
განწყობილებაში“. ადამიანის ღირებულება შემდეგში ერთგვარად ამ წინააღ-
მდეგობათა „ძალთა განწყობილებით“ იზომება. შილერი გვიჩვენებს: „სერი-
ოზული იყოს ადამიანი და ამით მიმართული ღირსეულისადმი“. ამასთანა-
ვე, ის გვიჩვენებს „ვითამაშოთ სილამაზით“, რადგანაც „ადამიანი მხოლოდ
მაშინ არის ნამდვილი ადამიანი, როცა ის თამაშობს“. დიდ საკითხს
წარმოადგენს ამ ელემენტების სწორი განვითარება ბავშვში. მასჩის აზრით,
„ბავშვები კომიკური ტემპერამენტის (ა. გ.) ყველაზე უფრო წმინდა ნიმუ-
შია“; „ძლიერ იტანჯებიან ისინი, როდესაც მათ აძლევენ სერიოზულო-
ბას და სწრაფად თავისუფლებიან ისინი ამ სერიოზულობისგან პირველ
შესაძლებლობისასვე“-ო. ეს საკითხები უკვე პედაგოგიკის სფეროს მიეკუთ-
ვნებიან. ამ მხრივ საგულისხმოა კანტის გამოთქმა: „არა არის რა უფრო
სასაცილო, ვიდრე მოზრდილის სიდინჯე ბავშვში“. ჩვენ არ უნდა მივსდევ-
დეთ ამ სასაცილო თვისებების გამომუშავებას, არამედ უნდა მივსცეთ ორი-
ვე თვისებას ბუნებრივი მსვლელობა.

კომიკური ელემენტის გამოხატულებას ნეიგებაუერი ხედავს უკვე
1,5 წლის ბავშვში, როდესაც ის ტანსაცმელის ჩაცმისას განგებ იღებს სხ-
ვადასხვა მოუხერხებელ პოზას, რომ ამით ჩაცმის პროცესი გაუძნელოს
იმ პირს, ვისაც ის ეთამაშება; 2 წელზე იგი განგებ ცვლის საგნების, ან
პიროვნების სახელს, მაგ. ის ამბობს მძინარე მამაზე: „ეს ბაბუა არისო“;
ის ატყუებს დედას, თითქო იპოვა დაკარგული საგანი; „ვნახე, ვნახე“-ო.
იძახის ბავშვი და თვალთმაქცობს, თითქო მუჭში აქვს მას დაკარგული
ნივთი. მესამე წელი აძლევს თამაშის სახეებს მეტ სირთულეს და მოწეს-
რიგებას. თამაშში მეტად შემოდის გარემო წრის მოვლენები, პირველად
საყოფაცხოვრებო, შემდეგ კოლექტიური ფორმები. 3—4 წლის ასაკში
სოციალურ თამაშს—შტერნის თქმით—უფრო ერთიმეორის „გვერდით“—
ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი თამაშის სახე აქვს, ვიდრე ერთმანეთთან
თამაშს. ბავშვის შინაგანი იმპულსები ვერ ითმენენ კოლექტიური თამაშ-
სათვის საჭირო დისციპლინას, როლების განაწილებას და თავშეკავებას. ეს
უნარი ვითარდება შემდეგ წლებში და აღწევს „თამაშის განაწილების“
(ანალოგიურად „შრომის განაწილების“-ა, შტერნი) ფორმებს. კოლექტიური
თამაშის უმაღლესი სახეობა ჩვენ გვაქვს შემდეგ საფეხურზე, როდესაც
თამაშის განაწილება ხდება უკვე მოთამაშეთა დაპირისპირებული როლების
ასრულებაში (ორი მოპირდაპირე ბანაკი და სხვა).

ა. როდინი იძლევა ბავშვის თამაშის ასაკობრივი განვითარების შემ-



დღე სქემას (თამაშში შემავალი სოციალისტური ელემენტების მიხედვით):
6 — 8 წლამდე ბავშვების თამაში დამყარებულია ინდივიდუალურ პასუხის-
მგებლობაზე; 9 — 11 წ. წ. — შეთანხმებული მოქმედებანი; 12 — 13 — პა-
სუხისმგებლობა კოლექტივის წინაშე; 14 წლიდან კოლექტივის რთული
დამოკიდებულებები.

ასეთია ბავშვის განვითარების მთავარი ეტაპები, რომელთაც აქეთ-
თავისი შესაფერი „საწარმოო იარაღი“.

სათამაშოები

- „ბავშვი და სათამაშოები განუყრელია“
- „სათამაშოების სახით ჩვენ გვაქვს მძლავრი-
იარაღი გავიგოთ, შევიჭრეთ და შეგავლენა მოვახდინოთ
ბავშვის სულზე“.

მოყვანილი გამოთქმანი, ეკუთვნის პროფ. ორშანსკის, რომელზედაც
არკინი ამბობს რომ მან „ბევრი სიყვარული და ენერგია დაახარჯა სათა-
მაშოების შესწავლას“-ო. ამ ფორმულებით მთლიანად ამოიწურება, ერთის-
მხრით, სათამაშოების როლი ბავშვის ცხოვრებაში („განუყრელია“) და
მეორე მხრით, მათი მნიშვნელობაც აღმზრდელობის საქმეში („გავიგოთ
და შეგავლენა მოვახდინოთ“).

„სათამაშოები წარმოადგენს იმ მატერიალურ ბაზას, რომელზედაც
შენდება თამაში“ — ამბობს არკინი: „იგი თავისებური ნედლი მასალაა,
რომელსაც თამაში გადაამუშავებს თავისებურ ფაბრიკატებად, შემოქმე-
დებით და წაბაძულების პროდუქტების სახით“-ო. აქ ჩვენ გვაქვს ის ელე-
მენტი, რომელიც ამაღლებს ბავშვის თამაშის სახეობას და ასხვავებს მას
ცხოველების თამაშისაგან—ბავშვის აქტიური შეგავლენა გარემო საგნებზე,
მათი გარდაქმნა და შეცვლა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ამ მოვლენის პრინცი-
პული მნიშვნელობა ადამიანის საცხოვრებო გამოხატულებაში. სათამაშო-
ებშიც მოსჩანს ეს მოვლენა, იგი მუდამ ახასიათებდა კაცობრიობას.

სათამაშოები, არკინის სიტყვით, „დგანან კაცობრიობის აკვანთან,
ისე როგორც დგანან ისინი ყოველი ბავშვის აკვანთან“—„ყოველ ხანაში,
და გადაჭრით ყოველგან, სადაც კი ცხოვრობდა ადამიანი, ბავშვებს ჰქონ-
დათ ესათუის სათამაშოები“ — დასძენს ორშანსკი. სათამაშოების ესათუის
სახეობა, ანალოგიურად თამაშის სახეობისა და შინაარსისა წარმოგვიდგე-
ბა, როგორც „მოზრდილთა ცხოვრების სარკე“ (ორშანსკი), მათში ჩვენ
დავინახავთ ამათუიმ ხალხის „რწმენას, ტანჯვას და სიხარულს“. ყოვე-
ლივე ის, რაც ჩვენ გამოვთქვით თამაშის რაობაზე უშუალოდ ვრცელდება
სათამაშოებზე, ვინაიდან, როგორც თამაში არის ბავშვის ცხოვრების
„შრომის“ რეალური გამოხატულება, ისევე სათამაშო არის ბავშვის „შრო-
მის“ „საწარმოო იარაღი“.

როგორც თამაშს, ისე სათამაშოებს ეძლევათ უდიდესი როლი მათ შერჩევის განვითარებაში. სათამაშოების შერჩევა, ჰიგიენური და მათი პედოლოგიური „დოზირება“ შეადგენს პედაგოგიკის უმნიშვნელოვანეს საკითხს. მოვიყვანოთ სათამაშოების კლასიფიკაციას მათი ასაკობრივ ჯგუფში იმ სახით, როგორც ისინი წარმოდგენილია პედაგოგიკური თვალსაზრისით (არკინიდან).

პირველი წყება სათამაშოებისა გამოდის სცენაზე ბავშვის ნაადრევ ასაკში, მათი დანიშნულება არის ბავშვის გრძობათა ორგანოების განვითარება („სენსორული განვითარება“) — ასეთებია:

ზარები, სტვენები, ჟღარუნები, ფერადი ბურთები. სათამაშოების მეორე ჯგუფის დანიშნულებაა მოტორული განვითარება: მარხილი სახტუნავები, კბეები ავტო, ბურთი და სხვა.

მესამე ჯგუფია ემოციური განვითარებისთვის: ტიკინა თავისი მოწყობილობით, დათუნია (რუსული „მიშკა“), შინაური ცხოველები. შემდეგ — წაბაძვითი სათამაშოები: ყოფა-ცხოვრების ნივთები: ქურჭელი, დგამი, ტანსაცმელი... ფიგურები: პიონერის, წითელარმიელის, ოქტომბრელის და სხვა.

გამოკვლევითი სათამაშოები: ბუნების კუთხე (თევზების აკვარიუმი, ქათამი, წიწილები, ბაჭიები, ყვავილები, მცენარეები), საწარმოო სათამაშოები და სხვა მშენებლობა — საშენი მასალა.

სხვადასხვა ფორმის აგურები, კუბიკები, სადა და გაფერადებული, ჩაქუჩა, ლურსმები. ბავშვის თამაშობითი აქტიობის მასალად განიხილება აგრეთვე მისი ვარჯიშობანი ე. წ. დიდაქტიკური მასალებით, როგორც არიან: წყალი, ქვიშა, თიხა, ფერადები, სპეციალური საშენი მასალა და სხვა. ყველა მათგანს, ისე როგორც წინათ დასახელებულ სათამაშოებს, ესაჭიროებათ სპეციალური პედაგოგიური შერჩევა — რაოდენობითი და ხარისხობრივი „დოზირება“ (არკინი). მხოლოდ ეს პედაგოგიური ზეგავლენა სათამაშოებზე, ისე როგორც, საერთოდ, თამაშის პროცესებზე უნდა იყოს გამოხატული იმ ფორმებში. და სახით, რომ მან სარგებლობა და არა ზიანი მიაყენოს ბავშვის განვითარების მსვლელობას. მოვიყვანოთ რამდენიმე ძირითადი დებულება ამის შესახებ.

„ბავშვის თამაში — როგორ უნდა იქნას იგი გამოყენებადი ბავშვის აღზრდისათვის?“

კოლოცა.

თავისთავად ცხადია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა ბავშვის ცხოვრებაში, როგორც არის თამაში, არ შეიძლება არ გამხდარიყო, „ფსიქოლოგიისა და პედაგოგიის საგნად“, არ შეიძლება რომ სათანადო შესწავლის საფუძველზე არ გამოეყენებინათ იგი აღმზრდელით საშუალებად. ამჟამათ უკვე ყველასათვის ნათელი ხდება, რომ „ჰერბარტის იდეებმა გაიმარჯვეს რუსოს იდეებზე“ (კოლოცა), და ბავშვის აღზრდა უნდა დაიწყოს დაბადებიდანვე. სამწუხაროდ, არა თუ ფართე წრეებში, სადაც მშობლების სახით ჩვენ ვხვდებით მათ, ვისგანაც დამოკიდებულია ბავშვის სწორი აღზრდის ბედი, არამედ ხშირად სპეციალისტ პედაგოგ და აღმზრდელთა შორის (ბავა, ბალი, სკოლა და სხვა), ჩვენ ვერ ვპოულობთ თამაშის პროცესებისადმი საჭირო განწყობილებას (არკინი). ერთნი თამაშს სრულიად უყურადღებოდ ტოვებენ და მხოლოდ „ითმენენ“, მეორენი პირიქით, „ზუსტად“ ცდილობენ გამოიყენონ თამაში საამღზრდელი იარაღად, როგორც კოლოცა ამბობს, „ასეთი თამაშობანი უფრო მოთმინების ვარჯიშიაო“. ზოგიერთ საბავშვო ბაღში „ყოველი მოძრაობა გამოზომილია; ბავშვებს არ შეუძლიათ პირი გააღონ, არ შეუძლიათ გადადგან ნაბიჯი გარეშე ხელმძღვანელის კარნახისაო“, ეს არის მეორე უკიდურესება: ბავშვს მართლაც უკარგავენ თავისუფლებას. „არ არის კარგი, როდესაც დედები და ძიძები თავისი ჩარევით ბავშვებს ართმევენ მიღწევის სიხარულსაო“, აღნიშნავს სიკორსკი.

როგორც საერთოდ აღმზრდელობის ყველა საკითხში, ისე თამაშის მიმართაც პედაგოგიური ზეგავლენის გზა უნდა მიმდინარეობდეს ინდიფერენტიზმის „სცილასა“ და ზედმეტი აქტიობის „ჭარბდას“ შუა (არკინი). „მუდმივ ჩარევას, რომელსაც მე ვთვლი მავნებლად, და ინდიფერენტიზმს შორის, რომელსაც ჩვენ ვთვლით წარმოუდგენლად, დევს მოქნილი ხელმძღვანელობის ფართო, თუმცა ძნელი გზაო“, ამბობს არკინი. კოლოცა, რომლის სიტყვით, თამაშს, პირველ ყოვლისა, უნდა ჰქონდეს აღმზრდელითი გამოყენება, ამასთანავე გვაფრთხილებს — ჩვენი ზეგავლენით არ დავაჩქაროთ თამაშის მოვლინება და არც დავაძალოთ მას გარკვეული ფორმები. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა ვცდილობდეთ თამაშის გამოყენებას, როგორც მხოლოდ სწავლების საშუალებას. „არაფრის უფრო მავნებლის გაკეთება არ შეიძლება“, — ამბობს ამის შესახებ კოლოცა. ამის გათვალისწინებით თამაში გამოყენებული უნდა იყოს ბავშვის ყოველმხრივი განვითარებისათვის, დაწყებული პირველადი სენსორული განვითარებით (რომ-

ლისაკენ განსაკუთრებულად მიმართულია ფრებელის ამოწმდებლობითი სისტემა) და გათავებული უმაღლესი სოციალური თვისებების გამომუშავებით. ზემოთმოყვანილი კლასიფიკაციები თამაშისა და სათამაშოების შესახებ გვიხატავენ ამ განვითარების გზებს. პედაგოგების, ექიმებისა და ამღვრდელების ამოცანას შეადგენს გონივრულად უხელმძღვანელონ ბავშვის ამ გზაზე სვლას, მისი ახაკობრივი შესაძლებლობისა და ფიქო-ფაზაკური მონაცემების საფუძველზე. აღმზრდელთა ამოცანას შეადგენს თამაშის მძლავრი იარაღი მიმართონ იქით, საითაც მიიმართება ჩვენს ქვეყანაში ყველა ძალა—სოციალისტური საზოგადოების შესაფერისი ახალი ადამიანის შექმნისაკენ. ამ იდეით უნდა წარმოებდეს თამაშისა და სათამაშოების შერჩევანი, ვინაიდან, „არის თამაში და თამაშიც“—(კრუჰსკაია), „არის თამაშობანი, რომელნიც აამუშავებენ შეუბრალებლობას, ავითარებენ არანორმალურ მძულვარებას, იწვევენ ახარტს, პატივმოყვარებას, და არის თამაშობანი, რომელნიც ამავრებენ ნებისყოფას, ზრდიან სამართლიანობის გრძობას, დახმარების უნარს და ა. შ.“ ასეთი ხელმძღვანელობით უნდა მიმდინარეობდეს თამაშის პროცესებში გამოხატული ბავშვის ცხოვრება, გაუღენთილი ხალისით, სიხარულით, და სიტკბოებით, ვიდრე ასეთივე ხალისით და „მუშაობის—სიხარულით“ (გორკი) თამაში (ეს შრომის წინასახეობა) არ გადავა შრომის ძირითად ფორმებში. ეს მოხდება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანდათანობით, ყოველ ცალკე პერიოდში შრომისა და თამაშის ელემენტების განსაზღვრულ პროპორციებში შეზავებით, პირველ საფუძველზე თამაშის ჰეგემონიით, ხოლო ბავშობის მიწურულ ეტაპებში შრომის წინწამოწვევით. დასრულდება ბავშობის ასაკი და გამეფდება შრომა ადამიანის ცხოვრებაში, თუმცა მოზრდილსაც შერჩება „შრომის და თამაშის მუდმივი წინააღმდეგობანი“ (ბენი). შემდეგშიაც ხშირად დავინახავთ მოზრდილში თამაშისადმი მისწრაფებას და გამოხატულებას, როგორც პირდაპირსა, ისე ფარულ სახეებში (მაგ. ოხუნჯობისადმი მიდრეკილება, ბავშვებთან თამაში, ცხოველებთან თამაში, მოზრდილთა თამაში და სხვა). პედაგოგიურმა ზეგავლენამ უნდა გაადვილოს თამაშის პროცესების შრომის პროცესებში ტრანსფორმაცია, რომ მათ შორის ადგილი არ ჰქონდეს არავითარ ნაპრალებს (კრუჰსკაია); პედაგოგიკამ არ უნდა დაივიწყოს კანტის ფორმულა „დაე, ითამაშოს ბავშვმა, დაე, ისარგებლოს მან დასვენების საათებით, მაგრამ ამასთანავე მან უნდა მუშაობაც ისწავლოს“. აქ გასახსენებელია საბჭოთა პედაგოგიკის პრინციპი, რომლის მიხედვით ბავშვი დახაწყისი დაწვე უნდა იზრდებოდეს შრომის საფუძველზე (არაოდეს გაუუკეთოთ ბავშვს ის, რაც თვითონ შეუძლია გაიკეთოს. ეფრუსი). მეორე მხრით, ბავშვს არ უნდა დავაძალოთ შრომის შეუუფერებელი სახეები, რომ ამით არ დავაზიანოთ მისი ნორჩი ძალები: „ნუ შევარხვეთ ვაშლის ხეს გაზაფხულზე, თორემ ჩამოეყრით ყვეაილს და მით მოვსპობთ შემოდგომის ნაყოფს“ (კლაპარედი).

თამაშის ალში ტრანსფორმაცია უნდა ხდებოდეს იმავე დამოუკიდებელი ემოციური განწყობით, როგორც წარმოებს თვით თამაშობა. შრომის გამოთქმით, აქ უნდა მოხდეს „შრომის ფორმების შეცვლა და არა გუნდ-განწყობის შეცვლა“.

განწყობა კი ორივე შემთხვევაში უნდა იყოს მხოლოდ ეითორიული და არა დისფორიული, სტენიური და არა ანტენიური. შრომითი პროცესები უნდა იძლეოდნენ იმავე სიამოვნების გრძნობას, როგორც თამაში, რადგან სიამოვნება, სიხარული არის მთავარი მაჩვენებელი ადამიანის კეთილდღეობისა და მთავარი სტიმული მისი აქტიობისა. ეს გრძნობები კი თავისი მხრით სავსებით განსაზღვრულია შეგნებისაგან. ჩვენს პირობებში შრომა არის თავისუფალი შეგნების თავისუფალი აქტიობა, მომცემი სიხარულისა. ბავშვის შრომა კი ყველა თავისი სახით (თამაშიც) ბუნებრივი გამოხატულება და ნორმალური გზაა მისი განვითარებისა.

დიდი არის აღმზრდელის როლი ამ დიად საქმეში. დიდია მისი ვალდებულება ბავშვის წინაშე. ამ მოვალეობის ასრულება უნდა ემყარებოდნენ ბავშვის ბუნებისა და მისი საცხოვრებო გამოხატულებათა სწორ გაგებას, შეზავებულს ბავშვისადმი თბილი სიყვარულითა და მისი ბედისადმი ცნო-ველი ინტერესით.

ზ. რ. მ. ბ. ი. ა. ს. ლ. კ. ვ. გ. დ. ე. ზ. ი. მ. პ. შ. ბ. ლ. ო. კ. ა. გ. დ. ა. გ. დ. ა.

1. სტალინი — Речь на всесоюзн. конферен. хозяйственников—1933 г.

2. ლენინი IX და XI ტ. —

3. ვნგელსი — ბუნების დიალექტიკა 1932 წ.

4. ლ. ვიგტსკი — Педология подростка. 1929

5. პ. ბლოხსკი — Основы педологии.

6. ა. ხალკინდი — Основные вопросы Педологии. 1930

7. " — Вопросы Советской педагогики. 1931

8. ა. გვხელი — Педология раннего возраста. 1932

9. ვ. ბრკინი — Дошкольный возраст—ч. II. 1929.

10. " — Ребенок от 1 года до 4-х лет. 1931.

11. " — О некоторых вопросах воспитания детей. 1931 г.

12. მ. გორკი — Собр. Сочинен. 21—22 т. т. 1931 г.

13. პ. შტერნი — Психология ребенка от 3-х до 6 лет.

14. პ. ვურესი — Психология раннего детства. 1931 г.

15. გ. მარცინოვსკი — Нервность и Мировоззрение. 1913 г.

16. დ. უზნაძე — პედოლოგია.

17. ე. შიკოვი — Речь и мышление ребенка. 1932 г.

18. ლ. ორშანსკი — Игрушки. 1923 г.

19. დ. ა. კოლოტა — Детские игры. 1909 г.

20. კ. კოფკა — Основы Психич. развития. 1934 г.

21. ა. როდინი — Игры. Б. М. Э. № 11

22. ა. ვოცირიძე — პედოლოგია, როგორც მეცნიერება. 1933



